

პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა



K 26.374/3



K 26 379  
3  
საქართველოს  
საბჭოთაო  
საზოგადოებრივი  
საბიბლიოთეკო

ბიბლიოთეკა  
29/2-101 3/2

ქართ.  
რუს.

# მოძღვრება

დღესა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს შობისასა \*)

*იესო ქრისტე*

დიდება მალაღობა შინა ღმერთსა, ქვეყნასა  
ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება...



დღეს მართლ-მადიდებელი ეკლესია მოიგონებს  
ბრწყინვალე და საგრძნობელ დღესასწაულს მაც-  
ხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტეს შობისასა, რომ-  
ლითაც კაცობრიობას მიეცა ხსნა მონებისაგან ეშმაკისა, ხსნა  
ჯოჯოხეთისაგან, ხსნა სიბნელისაგან და მიენიჭა ნათელი და  
კეთილი ცხოვრება. ეს დღე არის, ძმანო ქრისტიანენო, დიდი  
და ჭეშმარიტი სადღესასწაულო და სასიხარულო დღე. ჩვენ  
დღეს ყველას გვიხარის, ყველას ბრწყინვალე და მხიარული  
შახე გვაქვს; ყველანი ერთმანეთს ვულოცავთ „შობას“. რად  
არის „შობა“ ესრედ ჩვენთვის სასიხარულო მოსაგონებელი?  
აი ამაზე მსურს, ძმანო ქრისტიანენო, დღეს თქვენთან საუბარი.

გაგიდა რაოდენიმე ათასი წელიწადი ქვეყნის დაარსები-  
ლ მ ქრისტეს მოსვლამდე და ამ ღრვის განმავლობაში. ხალხი  
და თითქმის მთელი კაცობრიობა იყო ბნელა ცხოვრებაში:

\*) ეს მოძღვრება დაბეჭდილია ჟურნ. „მწყემსში“ 1884 წ. მე-9 ნ.-ში.

მას არ ესმოდა, რა იყო ბნელი და რა იყო ნათელი; იგი არ იცნობდა საზოგადოებრივ ჯეშმარტსა ღმერთსა, მას სწამდა მრავალი ღმერთები: ზოგი თაყუანსა სცემდა შზეს, ზოგი მთვარეს და ვარსკვლავებს, ზოგი ცეცხლსა და პირუტყვებს, ზოგი კიდევ სხვა და სხვა ნივთებსა; მომავალი საუკუნო ცხოვრება მათთვის განუსაზღვრელი, გაუგებარი და ბნელი იყო; არ ჰქონდათ მასზედ ჯეშმარტი ცნობა. ერთის სიტყვით, ხალხი იყო ზნეობით დაცემული და ბნელს მდგომარეობაში. აღარ იყო ძქობა, ერთმანეთის სიყვარული, დანდობა, ნათესაობა, გაქირვებაში ერთმანეთის დახმარება; მაშინდელმა მოძღვრებმა უარესად გადაბირეს ხალხი; ხალხი ამითი ცხოვრების წაბაძვით გახდა ცრუ და მოღალატე, ოპორტი და გაუტანელი. აი ამისთანა გაქირვებულ დროს მოვიდა კაცთა სახსნელად ის, რომელზედაც მრავალთა წინასწარმეტყველთა რაოდენიმე ათასი წლების წინათ სთქვამს, რომ უნდა შობილიყო მხსნელად სოფლისა; მოვიდა იესო ქრისტე, ძე ღვთისა, შობილი მარიამ ქალწულისაგან. მაცხოვარი დაიბადა მცირე და მდაბალს ქვეყანაში. კათა შინა აღიდებდნენ შობილსა მრავალნი ანგელოზნი და ტკბილის ხმით შეამკობდნენ მას შემდეგის სიტყვებით: „დიდება მადალთა შინა ღმერთსა, ჭეუენასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“... მოვიდნენ მწყემსები და თაყუანი სცეს შობილსა მას. მოვიდნენ მოგენი აღმოსავლეთიდან და შესწირეს მას ოქრო, მური და გუნდრუკი. ანგელოზნი ხარობდნენ ზენთვის, რომ ხალხი იმყოფებოდა ბნელსა შინა, ხოლო მაცხოვარი თავის სწავლით ქვეყანაზედ მოსვლით დაიხსნიდა მათ უბედურის ცხოვრებიდან და საუკუნო დაღუპვიდან, დაარღვევდა განმზადებულს მათთვის ჯოჯობეთს, აცნობებდა ჯეშმარტსა ღმერთსა, აცნობებდა თავისს თავს, დასთესდა კაცთა მშვიდობას, და მით ხალხთა შორის დამყარდებოდა სათნოება.



მართლაც, ძმანო ქრისტიანენო, ჩვენ ყოველთა უნდა გვიხაროდეს და სიხარულით ვუღვსავსაწაულობდეთ დღევანდელ ქრისტე მაცხოვრის შობის დღესა. იესო ქრისტემ თავისი განხორციელებით ქვეყანაზე გამოგვიხსნა ცოდვისაგან და გვასწავა, თუ რა არის კეთილი და ბოროტი,—მან არ დაზოგა თავისი თავი, დააქცია ჩვენთვის სისხლი, იტანჯა უგუნური ხალხის მიერ და შემდეგ მრავალთა ტანჯვათა, გვემათა, შეურაცხებათა, ჯვარზედ სიკვდილი მიიღო. აღსდგა მესამესა დღესა და თვისის აღდგომით ჩვენც მომაკვდავნი აღგვადგინა; ჩვენც მოგვცა გზა; უკეთუ მას შეუდგებია, შემდეგ სიკვდილისა დავიმტკიცებთ იმ საუკუნო და ნეტარ ცხოვრებასა, სადაც ყოველნი წმიდანი და უხორციონი ანგელოსნი აღიდებენ ღმერთსა.

ჩვენთვისაც, ძმანო ქრისტიანენო, არის საჭირო და სავალდებულო, ვადიდოთ ჩვენი მაცხოვარი იესო ქრისტე. ჩვენცა, თუმცა ვიცით მისი კეთილი განზრახვანი და ძრებნი, მრავალჯერ არ ვასრულებთ მას, რაც უპირველესი და აუცილებელი ვალია ჩვენი და არ ვასრულებთ იმ კეთილ მცნებას, რომელიც ყოველთათვის საჭიროა—მცნებასა მაცხოვრისასა: შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისით. მოყვასი არის ძმა, მეგობარი, მეზობელი და ყოველი აღამიანი. ჩვენი ძმისთვის, მეგობრებისთვის არ უნდა ეზოგავდეთ ჩვენს ცხოვრებასა, უნდა მივსცეთ შემწეობა ყოველთა საკეთილო საქმეში და ყოველ საჭიროებაში და, თუ გარემოება მოითხოვს, დავსდვათ თავი მოყვასისათვის; არ უნდა დავიშუროთ ჩვენი ცხოვრება, ხელი უნდა მივსცეთ შეუძლებელთა, გაქირვების დროს ვიხსნათ; არ უნდა ვიქმნეთ მცარცველნი, ავაზაკნი, მოშურნენი, მძრახავნი, მკილაენი. უნდა თვალ წინ გვადგეს სიმართლე და წყალობა. ჩვენც მივსცეთ ფართო გზა, ქრისტიანენო, სიმართლეს და ქვეშაირიტებას; დავსდვათ თავი საჭირო შემთხვევაში მოყვასისათვის. გაქირვებაში



ვიყენეთ მათი გამამხნეველებლნი-შემწენი. აი მაშინ, მხოლოდ მაშინ იქმნება ჩვენთვის დღესასწაული ქრისტეს შობისა სასიხარულო, თუ ამ აზრებს არ დაუტყვევებთ და აღვასრულებთ; მაშინ ექმნება დღესასწაულს ჩვენთვის მნიშვნელობა, და მაცხოვარიც მხსნელი იქმნება, ხელის მომმართველი ყოველ ჩვენს კეთილ საქმეში, იქმნება შემწე და მფარველი არამც თუ დღეს, ამ ბრწყინვალე დღეს, არამედ უკუნისამდე, და მაშინ იქმნება ჩვენში დამყარებული მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება, რომელიც მოგვანიჭოს ღმერთმან ყველას. **ამინ.**

1888 წ. ქ. გორი.

მ მ მ ლ მ რ მ ბ ბ

დღეს იესო ქრისტეს შობისსა—საკეკელსიო სამრევლო სკოლებს სსსარგებლოდ შეწირულებათა შეკრების შესახებ.



ღმერთმან დღეს დაბადებულმა ქრისტემ იესომ მთელს ქვეყანას აღმოუბრწყინვა მეცნიერების ნათელი, ე. ი. მან ყველას გააცნო ღმერთი. ჩვენ ყველას გვაუწყა ქრისტემ ის, რაც კი საქირთა სულის საცხოვნებლად, აგვიხსნა როგორც ზეციური, ისრე ქვეყნიური საიდუმლონი. არა თუ მხოლოდ გავაცნო ქრისტემ ღმერთი, არამედ ისიც გვასწავლა, თუ როგორ უნდა ვირწმუნოთ,—გადმოგვცა იმის მზრუნველობა და სიყვარული ჩვენდამი. გვასწავლა, თუ როგორ და რით უნდა ვემსახუროთ ღმერთსა, რომ ვასიამოვნოთ, რა ნაირათ ვიცხოვროთ ამ ქვეყანაზედ, რომ სასუფეველი ზეცისა არ დავკარგოთ. გვაცნობა მანვე ზეცათა ცხოვრების ამბავიც, სადაც ქრისტე მჯდომარეა მარჯვენით ღვთისა მამისა და სადაც



მათ ყოველნი ძალნი ცათანი განუწყვეტლივ უგალობენ და აღიდებენ, გვასწავლა ისიც, თუ რა მოგველის მომავალ ცხოვრებაში—სიკვდილის შემდეგ, ესე იგი, რა მდგომარეობაში იქნებიან მართალნი და ცოდვილნი. ყოველივე ამის ცოდნა კაცობრიობას არ შეეძლო, თუ რომ თვით ღმერთი არ განხორციელებულიყო, თუ ქრისტე ღმერთი არ მოსულიყო ქვეყანაზედ; იმიტომ იწოდება ქრისტე იესო ჭეშმარიტს ნათელად, რადგან მან ყოველი კაცი გაანათლა თავის სწავლა-ქადაგებით.

პატივცემულნო ქრისტიანენო! განხორციელებულმა ქრისტე იესომ აგვიხსნა და გვაუწყა ყოველივე, რაც კი საჭიროა საცხოვნებლად. მაგრამ ყველამ ვიცით კი ის, რაც იმან გვასწავლა? დავიჯერო ყველა ჩვენგანმა იცის, თუ როგორ უნდა ირწმუნოს ღმერთი, ან მას როგორ ასიამოვნოს, რომ სული თვისი აცხოვნოს? გულის სიწმინდით გამოვტყდები და გეტყვით, რომ დღევანდლამდე მდაბიო ხალხს ძალიან მცირედი ცნობები აქვს მიღებული ქრისტეს სწავლაზედ, ზოგიერთმა თუ იცის რამე, საკმარისად არ იცის, ესე იგი არ იცის, თუ რაში მდგომარეობს ქრისტიანული ჭეშმარიტებანი. ხშირათ გამოგონია იმათგან ღრტყინვა ამნაირი: „განა არ მინდა მეც ვიცოდე ღვთაებრივი სწავლაო, მაგრამ წერა-კითხვა არ ვიცი, სიყრმითვე არ მისწავლიაო“. ესრეთი ღრტყინვა სამართლიანია და ეჭვიც არ არის, რომ ვინც წერა-კითხვა არ იცის, იმისთვის სამძიმოა ისწავლოს რამე სასარგებლო და დაიხსომოს. რადგან ეს კარგათ იცოდა როგორც სასულიერო, ისრე სახორციელო მთავრობამ, ხელმწიფის ნება-რთვით მრავალ ალავას გაიხსნა საეკლესიო სამრევლო სკოლები იმიტომ, რომ აქ ისწავლონ ბავშვებმა არა თუ მართა წერა-კითხვა, არამედ შეისწავლონ ქრისტიანული სარწმუნოებაც. განა რომელი მშობლისთვის არ იქნება სასიხარულო, რომ მისი შვილი დახელო-



ენებულის იყოს წერა-კითხვაში, განსწავლული იყოს ქვეყნის  
რიტს ქრისტიანულს სარწმუნოებაში, იყოს ღვთის მოშიში,  
მორჩილი მშობლების და უფროსთა პატივისმცემელი? არა თუ  
მშობლებისათვის, არამედ უცხო პირთათვისაც კი სასიამოვნოა,  
როდესაც ესენი ჰხედავენ კეთილად აღზრდილ ყმაწვილებს,  
სასარგებლოთა მშობლების, მამულისა და ეკლესიისათვის.

გვანებ აღარ არის საჭირო აგიხსნათ, მსმენელნო, მრავალი  
რამ ის, რაც თქვენც თვით კარგათ უწყით, ის, რომ სკოლების  
შესანახად საშუალებაა საჭირო. ეხლანდელს დროში იმდენი  
სკოლები იხსნება, რომ მთავრობას მათი შენახვა თავის ხარ-  
ჯით თითქმის სრულგებობით შეუძლებლათ მიაჩნია. საჭიროა  
თქვენც, პატივცემულნო მსმენელნო, აღმოუჩინოთ ჩვენს სამ-  
რევლო სკოლებს, შეძლებისა და გვარად, შემწეობა, ამიტომაც  
მთავრობამ განკარგულება მოახდინა ყოველ წელიწადს დღე-  
ვანდელ ბრწყინვალე ქრისტე შობის დღეს ერთ დროებით მო-  
გროვდეს ხოლმე ყულაბით შეწირულება ყოველ ეკლესიებში  
აღსაშენებლად და შესანახად საეკლესიო სამრევლო სკოლე-  
ბისა. თქვენც მოვალენი ხართ ესრეთ სასარგებლო და ღვთის-  
თვის სასიამოვნო საქმეს შესწიროთ რამე, მით უმეტეს, რომ  
ამნაირ სკოლებში სწავლობენ ღარიბ-ღატაკი დედ-მამის შევი-  
ლები, რომელთაც არც ტანისამოსი, არც ფეხსაცმელი, არც  
წიგნები და არც არაფერი სხვა რამ მოეპოვებათ. მოგვებმა,  
რომლებიც შორის ქვეყნიდგან მოვიდნენ დაბადებულის ქრის-  
ტეს თაყვანის საცემლად, მოუტანეს მას ძღვნად: ოქრო, გუნ-  
დრუკი და მური. ჩვენც შობილის ქრისტეს პატივის საცემ-  
ლად შევწიროთ, შეძლებისა-და-გვარად, წელილი სადიდებელად  
მისის სახელისა ჩვენის შევილების აღსაზრდელად, რომ მით  
ყრმათა პატარაობიდანვე იცნონ შობილი ქრისტე მაცხოვარი  
ჩვენი, შეითვისონ მისი ქვეშაირიტი სწავლა, ემსახურონ მას  
და ასიამოვნონ იგი. ჩვენი წვლილი მუქთად არ ჩაივლის,



რადგან მის დახმარებით ბავშვები განსწავლულნი იქმნებიან ქრისტიანულს სარწმუნოებაში და კეთილ ზნეობაში. მაშასადამე, ესენი უეჭველია მიიღებენ სკოლიდგან სარგებლობას, თქვენთვისაც მანუგეშებელნი იქმნებიან და სხვათაც, მოყვასთა და მეზობელთაც, გადასცემენ სასარგებლო რასმეს. კარგათ იცოდეთ, მართლ-მადიდებელნი ქრისტიანენო, რომ უფალი მკორედის შენაწირავისათვისაც ათასად გადაგიხდით. **ამინ.**

ს ი ბ ყ ვ ა,

თქმული ზირველს კვირიაკეს დიდ-მარხვისას, 2-ს მარტს 1897 წ., სოფ. დიღომში საეკკლესიო სამრევლო სკოლის დაარსების შესახებ.



ატივცემულნი მსმენელნი! რომ იტყვიან, ღვთის განგებას კაცი ვერ მისწვდებაო, ნამდელია! მისი მიუწლომელის განზრახვის სისრულეში მოყვანას კაცის ცხოვრებაში სასარგებლო შედეგები მოსდევს და ხშირად მაცხოვრებელიცა. — განა რას წარმოვიდგენდი, რას ვიფიქრებდი, რომ მე ამ დრომდე ვქადაგებდი რა ღვთის სიტყვას ქალაქად, წილად მხედებოდა ლაპარაკი ღვთისავე სიტყვისა სოფლად! მისი განგებულება იყოს წმიდა! იკურთხოს მისი სახელი! — აქამომდე მე მქონდა საუბარი ნოქალაქეებთან, ეხლა კი ჩემ სიტყვას მოემართავ თქვენდამი — სოფლის ღარიბ ხალხისადმი. იქ მე მქონდა საქმე ხშირად მედიდურ პირებთან, რომლებიც იყვნენ რა ფუფუნებასა, განცხრომასა და კმაყოფილებაში, იყვნენ რა მდიდარი ქვეყნიურის ხრწნილებით, არ იყვნენ ისრეთნი ღვთის მოშაშნი და კეთილ-მსახურნი,





როგორც საზოგადოთ სოფლად მოიპოვებიან. ვმადლობ მე ყოვლად მოწყალე უფალს და ზეციერს დედოფალს, რომ ვხედავ ჩემ წინ ღარიბ და საწყალ ქრისტიანეთა, რომლებიც შრომით და ოფლით მოიპოვებენ პურსა არსებისას და ასაზრდოებენ არა თუ მარტო თავიანთ თავსა, არამედ სხვათაც აღლევენ ცხოვრების სახსარს.

მე, როგორც თქვენი ახალი მოძღვარი, უპირველეს ყოვლისა ვისურვებ ყველა თქვენგანისათვის და საზოგადოთ მრევლისა და სოფლისათვის მშვიდობას, კეთილ ცხოვრებას და წარმატებას, რადგან სულით და გულით მრწამს, რომ თქვენი მშვიდობა და ბედნიერათ ცხოვრება ჩემი ბედნიერება იქნება. ყოველი ხორციელი მამა მაშინ იმყოფება მშვიდობასა, მყუდროებასა, განცხრომასა და სიამოვნებაში, როდესაც თავისს შვილებს ჰხედავს კეთილდღეობაში.—მეც, როგორც თქვენი სულიერი მამა, მაშინ მიეცემი სიამოვნებასა, თუ თქვენ კმაყოფილნი შეიქმნებით, თუ რომ ღამყარებული იქმნებით ქრისტიანულს ზნეობაზედ, გეცოდინებათ ის, რაც ყოველი ქრისტიანის მოვალეობას შეადგენს,—გეცოდინებათ ის, თუ რა არის კაცო, ვისგანაა გაჩენილი, რა დამოკიდებულება ჰსუფევს გამჩენელსა და გაჩენილს შორის, რისთვის ვსცხოვრებთ ამ ქვეყნად, რაში მდგომარეობს ჩვენი საბოლოო და სხვანი...—მე, როგორც თქვენს მოძღვარს, საღმრთო ვალი მაიძულებს აღვასრულო არა მარტო ქრისტიანული წესები, მაგალ.: მონათვლა-განათვლა, დამარხვა, წირვა-ლოცვა,—არა, მე ზნეობრივად თანამდებ ვარ შევასრულო ის, რასაც თვით ქრისტე მაცხოვარი გვიბრძანებს; ჩვენ ყოველთვის და მარად უნდა გასწავლოთ, განვიმარტოთ ქრისტიანობრივი წეს-რიგი, დაგაყენოთ კეთილ-ზნეობრივს გზაზედ და საზოგადოთ აგისხნათ, თუ რა არის კეთილი და რა არის ბოროტი. აი ამიტომ მზათა ვარ არა თუ ყოველ კვირას და დღესასწაულ დღეებში აგინ-

სნათ და გასწავლოთ ქრისტიანული მოვალეობა, არამედ ყოველ ეამს, როდესაც კი ამას საჭიროება მოითხოვს და შესაძლოც იქნება. არ განვაგრძობ იმაზედ, თუ რა და რა საგანზედ მექნება საუბარი ამას იქით თქვენთან, შემდეგ ამ ჩემი სიტყვისა.

ამ უამად ვითხოვ ყველასაგან ყურადღებით მოპყრობას შემდეგზედ: მიზანი და დანიშნულება კაცის ცხოვრებისა სხვათა შორის ამ ქვეყნად იმაში მდგომარეობს, რომ კაცმა შეიძინოს ისრეთი კეთილი საქმე, ისრეთი სასიქადულო ქველსაქმე ჰქმნას, რომ აღასრულოს თვისი მოვალეობა ღვთისა და კაცთა წინაშე. ამ ჩემგან ნათქვამს სიტყვებს რომ კაცი ჩაუკვირდეს, არ შეიძლება ზოგიერთის გულში უნებლიეთ არ აღიძრას კითხვა აი რა ნაირი: „მე რომ ღარიბი და შეუძლებელი ვარ, განა რა კეთილის საქმის ქმნა შემიძლიაო, განა ვის რით და რა ნაირათ ვასიამოვნოვო, ან რა კეთილი უნდა ვპყუ ჩემის ხელ-მოკლეობითაო?.. ესრეთი ჰაზრი ზოგიერთებისა უსაფუძვლოა და სიშარტლესაცაა მოკლებული. რომ ყველა ჩვენგანს შეუძლიან ამ ქვეყნად რაიმე კეთილის შექმნა, რომელიც სასარგებლო იქმნება ორსავე ცხოვრებაში, ეს ცხადია. თქვენ შორის შესაძლოა მოიპოვებოდნენ არა თუ ღარიბნი, მდიდარნიც კი, მაგრამ შეიძლება უფრო კი იმისთანანი იყვნენ, რომ მათზედ არც სიღარიბე ითქმოდეს და არც სიმდიდრე. ნუ შევალთ იმის განხილვაში, თუ ზოგნი რათ არიან მდიდარნი და სხვანი ღარიბნი, მხოლოდ ესა ვსთქვათ, რომ ღარიბსაც და მდიდარსაც კეთილი საქმის ქმნა შეუძლიანთ. ისიც მართალია, რომ მდიდარ კაცს ბევრი რამ შეუძლია ჩაიდინოს, მაგალითებრ ღარიბებს შეეწიოს, ავადმყოფების მოსარჩენად გადასდოს ფულები, ეკლესიების ასაშენებლათაც, მაგრამ ზოგჯერ ესეც მოხდება ხოლმე, რომ მათ შენაწირს უფალი არ ღებულობს. უფრო აფასებს შეწირულებას



ლარიზის და შეუძლებლისას, რომლის ცხადი, დამამტკიცებელი საბუთიც ჩვენ ვიცით საღმრთო ისტორიიდან, მაგალითებრ: ქრისტეს ღრის ერთმა ქვრივმა დედაკაცმა შესწირა თავისი ორი წვლილი ეკლესიას, და ეს შენაწირი უფალმა ყველა მდიდრების შენაწირზედ მალლა დააყენა. იკითხაეთ, რასაკვირველია, რათაო? იმიტომ, რომ იმან თავისი უკანასკნელი საშუალება არ დაიშურა და კეთილს საქმეს სიამოვნებით შესწირა. მდიდარი კაცი კი, თუ შესწირავს რასმეს ან ეკლესიას, ან ღარიბთა, ან სხვა რაიმე საქმეზედ, სწირავს იმას, რაც აზისთვის მეტია, მართალია, სწირავს, მაგრამ ენანება; ხოლო ღარიბი კი სწირავს იმას, რაც მისთვის უსაქიროესი და უკანასკნელია, რაც რჩება იმასაც ნებით აძლევს და ნებით შეწირული ხომ ღმერთსაც უყვარსო. ამნაირათ, რაც კაცი მდიდარი და ძუნწია, მით მცირედი ფასიცა აქვს იმის მოწყალებას, რაც ღარიბი და უბეია, მით ძვირფასია მისი მოწყალებაც წინაშე ღვთისა. მაშასადამე, ჩვენ დარწმუნებულნი უნდა ვიყვნეთ იმაში, რომ ღარიბსაც შეუძლიან კეთილი საქმის ქმნა, არა თუ მდიდართან თანასწორ, მომეტებულადაც კი; მოწყალებასა და კეთილ საქმეს რაოდენობის მიხედვით კი არა სძევს ფასი, არამედ შემწირველის თვისებისა და ხასიათის მიხედვით.

თუ რომ მართლა ყოველს ღარიბს და შეუძლებელ კაცს ქვრივის მაგალითისამებრ კეთილი საქმის ქმნა შეუძლიან, მოწყალეების მიცემა, მაშ შეძლებულს და მდიდარს უფრო მეტი არ შეეძლება?—რადგან ასრე არის, რომ ჩვენ ყველას შეგვიძლიან კეთილი საქმის ქმნა, რის გამო საქებურნი და სადიდებელნიც შევიქმნებით,—მაშ მე მიგითითებთ უფრო იმისთანა კეთილ საქმეზედ, რომელიც წინაშე ღვთისა ყველაზედ მალლა სდგას. შიშლით მომაკვდავს რომ პურის ლუკმა გაუწოდოთ—საქებურია, რასაკვირველია; ავადმყოფის მორჩევა, ტიტველ-შიშველის ჩაცმაც ხომ საქებურია, მაგრამ ყველაზედ



უსაქიროესი მთელ ქვეყანაზედ, უფრო ის საქმეა, რომელზე-  
დაც როგორც ქვეყნიური, ისრე ზეციური მეფეც—ქრისტე-  
ლმერთი მიგვითითებს. ჩვენ ყველამ კარგათ ვიცით, რომ ჩვენ შეი-  
ლებზედ უსაყვარლესი და უძვირფასესი არა გვაბადია-რა; ისიც  
კარგათ ვიცით, რომ ესენი არიან ღვთისაგან ნაკურთხის ცოლ-  
ქმრულის ცხოვრების ნაყოფნი, ღვთის მიერ მონაცემნი ნიჭ-  
ნი. მაგრამ ესეც კი კარგათ უნდა ვიცოდეთ, რომ ღიღება  
მშობლებისა იმაში კი არა მდგომარეობს, რომ მათ ბევრი  
შვილები ჰყავდეთ; არა. ამის გამო მათ ქება და პატივი არა შეე-  
ნით, თუ რომ ამ შვილებს ქრისტიანულს სარწმუნოებაზედ  
და კეთილ სწავლაში არ აღზრდიან. აი, ამიტომ ცოდვა არის,  
როგორც ღვთისა, ისრეც სინიღისის წინაშე, რომ მშო-  
ბლებმა აღზრდელად და უსწავლელად დასტოვეთ თავისი  
შვილები. მშობლებს საღმრთო ვალი აძევთ მარად იზრუნონ,  
რომ შვილები ღვთის შიშში აღზარდონ, იმათგან მოამზადონ  
კეთილი ქრისტიანები, ისეთები, რომ სასარგებლონი გამო-  
ვიდნენ მეფისა, სარწმუნოებისა და სამშობლოსთვის და კერ-  
ძოდ საზოგადოებისათვის, როგორც ამაზედ თვით მოკრძული  
პავლეცა ბრძანებს: „მამანო, რგი ამბობს, უნდა აღზრდიდნენ  
შვილთა თვისთა დარიგებასა და ღვთის სწავლაშიო“. გაა ესე-  
თი კანონიერი აღზრდა შვილებისა როდისაა საქირო, თუ არ  
მათის სიყმაწვილის წლებში?—სიყმაწვილე ეს ისეთი ჰასაკია,  
როდესაც ყრმათა სულზედ და გულზედ აღვილად იწერება-  
როგორც კეთილი, ისრეც ბოროტი და ესევე მისდევს მას  
მთელს სიცოცხლეში. ახალგაზდა ყრმა ემსგავსება ფიცარს,  
იმ ფიცარს, რომელიც მომზადებულია სურათების დასახატად,  
რასაც მოისურვებს მხატვარი, იმას გამოხატავს ფიცარზედ,  
კეთილს, ან ცუდს, წმინდანს ანუ ცოდვილს. ბავშვის მომა-  
ვალი ბედ-იღბალი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორი აღზ-  
რდა მიიღო მან მშობელთა ოჯახში.

ბედნიერია ის ბავშვი, რომელიც თავისს გარეშემო ჰხედავს კეთილი ცხოვრების მაგალითებს, ისმენს კეთილ დარიკებას. რომ ჰხედავს სხვები ერთგულათ ლოცულობენო, ისიც ეჩვევა, იძენს ლოცვის მოთხოვნის დებას და ამნაირათ როგორც ექვლესიაში, ისრეც სახლშიაც ლოცულობს. ჰხედავს ბავშვი სხვაში ღვთის შიშს, ისიც ეჩვევა ამ შიშსა. ჰხედავს ბავშვი სხვებში სიყვარულს და პატარისცემას ერთმანეთისას, ისიც ეჩვევა პატივისცემას, საყვარულათ და თანხმობით ეპყრობა ყველას. ჰხედავს სხვებში სიფხიზლეს, პატიოსნებას, შრომას და სხვ., ისიც ასრე იქცევა. მაგრამ უბედურებაში ის ბავშვია, რომელსაც არაინ მოაგონებს არც ღმერთსა, არც ლოცვასა და არც სხვა კეთილ საქმესა. უბედურებაზედ მეტია, როდესაც ბავშვს მხოლოდ შეურაცხება, ლანძღვა-გინება და სიკრუე ესმის, ჩხუბი და უთანხმოება, ლოთობა, ცუდი ლაპარაკი და სხვანი,—ესეც ამ საქციელებს აღვილად იზიდავს, ეჩვევა და ამნაირის საქციელით განაგრძობს ცხოვრებას.

აი ამიტომაც კარგათ უნდა ვიცოდეთ, პატივცემულნო მსმენელნო, რომ, როგორც ღვთის სიტყვა, ისრეც ქვეყნიურნი გამოცდილებანი გვაიძულებენ ვიზრუნოთ უბირველეს ყოვლისა შეილების კეთილად აღზრდისათვის, ღვთის შიშში და ქრისტიანულს ზნეობრივს განსწავლაში.—საზოგადოათ დამტკიცებულია, რომ მართლ-მადიდებელი საჩუშუნოება თანდათან უფრო სუსტდება, ქრისტიანული კეთილ ზნეობა ეცემა, ყოველ გვარი უზნეობა და ცუდი საქმე ძლიერდება, რის გამოა მშვიდობიანი ცხოვრება სახლობაში ირღვევა, კეთილ-განწყობილება იფუშება საზოგადოებაში და აგრეთვე ძირი ეთხრებაყოველსავე წეს-წყობილებასაც. რადგან თავი და თავი მიზეზი ქსრეთის სამწუხარო მოვლენისა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენის შეილების კეთილად აღზრდას წიხლსა ესცემთ, არაფრად ვაგდებთ,—ამიტომაც უწმიდესმა სინოდმა,



ხელმწიფე იმპერატორის ბრძანებისა გამო, კეთილ იქნება, საქიროდ და სავალდებულოდ დაინახა და დააკანონა გაიხსნას ყველა მართლ-მადიდებელ ეკკლესიებთან შთელს რუსეთის სახელმწიფოში და, რასაკვირველია, ჩვენს საქართველოშიაც, საეკკლესიო და სამრევლო სკოლები, რომ მათში ყველა წოდების შვილები აღიზარდნენ სარწმუნოებასა და ქრისტიანულს კეთილ-მსახურებაში, რასაკვირველია, ადგილობრივის სამრევლო მღვდლების ხელმძღვანელობით, რომლებიც ზნეობით მოვალენი არიან თვისის მრევლის შვილებს ასწავლონ.

საეკკლესიო სამრევლო სკოლები მრავალ ქალაქებსა და სოფლებში უკვე გაიხსნა და იქ ბავშვების სწავლა მართლ-მადიდებელ სარწმუნოებაზედ და კეთილ-მსახურების წესებზედ არის დამყარებული და მრავალ ალაგას კარგათ მიდის, და სასურველადაცაა დაყენებული მათში აღზრდის საქმე. რომ ყოველგან დაარსდეს ესრეთი სკოლები, რასაკვირველია ამაზედ საკმაო ფულის მიცემა ყველასათვის თვით სახელმწიფოს მხრით დიან გასაქირია. ამ შემთხვევაში საზოგადოებაა მოვალე თვით იზარუნოს ამაზედ. მე დარწმუნებული ვარ, რომ ესრეთ კეთილ საქმეზედ, როგორც შვილების აღზრდაა, თქვენც, დიღმელეზო, უკან არ დაიხვეთ, ყველას მოიკლებთ, სხვა ყოველს მოთხოვნილებას უკან დააყენებთ და სკოლის დაარსებას შეუდგებით, რადგან, როგორც დავრწმუნდი, ამ სოფელში ოთხას კომლამდე მცხოვრებელი და არა ეგონებ, რომ ამოდენა საზოგადოებას რაიმე გაუჭირდეს. იქნება ზოგიერთმა თქვენგანმა იფიქროს, გულში გაიფლოს: „მე რომ შვილი არა მყავს, რა მესაქმებაო“ და სხვანი.—არა, ეს დიდათ უკანონო და უშგვანო ფიქრი იქნება და დიდათ საწყენიც, რადგან ეს ყველამ კარგათ უნდა ვიცოდეთ, რომ სხვისი შვილები იგივე ჩვენი შვილებია. მაშ რათა სთქვა ქრისტემ: „შეიყვარე მოყვასი შენია, ვითარცა თავი თვისია“. რათა სთქვა: „გიყვარდეს მტერიცა და



მისთვის ლოცულობდეთ“. მოყვასი ჩვენი არის არა თუ მარტო ჩვენი მეზობელი, არა თუ ქრისტიანი, სხვა სჯულის ადამიანიც კი ჩვენი მოყვასია, თუ რომ ჩვენ ქრისტიანები მოვალენი ვართ სხვათა სარწმუნოების პირნიც შევიყვაროთ, ვცდილობთ იმათ შემოერთებას, მოვალენი არა ვართ უფრო მომეტებულათ ჩვენის მეზობლის შეილებისათვის?! დღეს ჩვენ ეუშეელით იმათ, ხეალ ისინი მოგვეშეელებიან. რასაცა გაცემ, ვისზედაც გაცემ სულ ერთია, ის არაა დაკარგული და ამიტომაცაა ნათქვამი უკვდავი პოეტისაგან: „რასაცა გაცემ შენია, რაც არა დაკარგულია“-ო. ამ სოფელში მცხოვრებნი მდიდარნი და შეძლებულნი ამ შემთხვევაში არას იტყვიან; რასაკვირველია, ღირბნი-შეუძლებელნი და უშვილონიც ერთნაირის თვლით უნდა უცქეროდნენ ესრეთ საზოგადო და კეთილს საქმეს და შეძლებისა-და გვარად გაუწოდონ მას ხელი. დიდება და პატივი ექმნება ყველა თქვენგანს არა თუ თქვენის შეილებისაგან, თუ რომ ამ კეთილ საქმეს განახორციელებთ აღრე და მალე, არამედ ღვთისაგანაც, რის გამო იგი, მოწყალე მამა, დაგაჯილდოებთ როგორც სააქაო კეთილდღეობით, ისრეც იქ—იმ ქვეყნად საუკუნო ნეტარებით. ამინ.

მ მ მ ლ მ რ მ ბ ბ

წმიდა საიდუმლო სიარების მიღების წინააღ.

ძმანო და დანო მართლ-მადიდებელნო ქრისტიანენო! რა უგან ამ მიმდინარე კვირაში თქვენ ემზადებოდით საზიარებლათ. დადიოდით ეკლესიაში, მარხულობდით, ლოცულობ-



დით, სთქვით აღსარებაცა, ინანიებდით თქვენს ცოდვებსაც, —  
აი ამიტომაც განზრახვა გაქვსთ ახლა მიიღოთ წმიდა საიდუმ-  
ლო ზიარება. მე საკიროთ ვრაც გოთხრათ რაოდენიმე სიტ-  
ყვა იმაზედ, თუ რა არის ზიარება, რა სარგებლობა მოაქვს,  
როდესაც ვეზიარებით ხოლმე ხორცს და სისხლს ქრისტესსა  
და ან რა გრძნობით უნდა მიუახლოვდეთ ამ უდიდესს საიდუ-  
მლოს.

ზიარება არის საიდუმლო, რომლითაც მართლ-მად-დებე-  
ლი ქრისტიანე სახედ პურისა და ღვინისა სჭამს ხორცსა და  
სვამს ქრისტეს სისხლსა, რომ ცოდვები მიეტეოს და საუკუნო  
ცხოვრება დაიმკვიდროს. ეს საიდუმლო დააწესა თვით იესო  
ქრისტემ საიდუმლო სერობაზედ, და აი იმ დროდგან იგი სრუ-  
ლდება ჩვენ მიერ განუწყვეტლივ ეკლესიაში წირვის დროს.  
აქ წირვაზედ პური სულის წმადის ძალით გარდაიქცევა ხოლმე  
თვით ქეშმარიტ ქრისტეს ხორცად და ღვინო კი ვენახისა —  
თვით ქეშმარიტ ქრისტეს სისხლათ. ეს საიდუმლოებითი გარ-  
დაქცევა პურისა და ღვინისა ხორცად და სისხლად ქრისტეს-  
სა სრულდება წირვაზედ იმ დროს, როდესაც იგალობება:  
„შენ გიგალობთ, შენ გაკურთხევთ, შენ გმადლობთ, უფალო,  
და გვედარებით“.

რა სარგებლობას მ-ვიღებთ ხოლმე მაშინ, როდესაც ვე-  
ზიარებით ხორცსა და ქრისტეს სისხლსა? ჩვენ შეეუფროდებით  
ხოლმე თვით იესო ქრისტეს და გავხდებით ხოლმე მონაწილე-  
ნი საუკუნო ცხოვრებისა. უფალი ამბობს: „რომელი სჭამდეს  
ხორცსა ჩემსა და სმიდეს სისხლსა ჩემსა, იგი ჩემთანა ჰგიეს  
და მე მისთანა“, „რომელი სჭამდეს ხორცსა ჩემსა და სმიდეს  
სისხლსა ჩემსა, აქენდეს ცხოვრება საუკუნო და მე აღვადგინო  
იგი უკანასკნელსა მას დღესა“ (იოან. 6, 51, 56). ვინც ღირ-  
სეულად ეზიარება ხორცსა და სისხლსა ქრისტესსა, მას შეიბ-  
რალეზს ღმერთი და დაუმკვიდრებს საუკუნო ნეტარებას. ზიარება

R 26.3413





რება არა თუ სასარგებლოა სულისათვის, არამედ ხორცისათვისაც. მომხდარა ისეც, რომ ზიარებისაგან ავადმყოფებიც კი მოარჩენილან, რომლებზედაც არაერთარნივე წამლობას გაცლენა არა ჰქონია. წმიდა გრიგოლი დეიის-მეტყველი ამბობს, რომ მისი და, რომელიც დიდხანს ავადმყოფობდა, და რომელსაც არაერთარმა წამლობამ და საშუალებამ არ უშველა, წმიდა საიდუმლო ზიარების მიღების შემდეგ სრულებით განიკურნა.

მაშასადამე, ძმანო, ის პირი, რომელიც ღირსეულათ ეზიარება წმიდათა საიდუმლოთა, შეუერთდება იესო ქრისტეს და გახდება მონაწილე საუკუნო ცხოვრებაში. ის პირი კი, რომელიც ჯეროვანის მოუმზადებლობით ეზიარება, მიიღებს სასჯელს. როდესაც მიუახლოვდებით ხოლმე წმიდა საიდუმლო ზიარებას, ჩვენ ეამბობთ: „არცა ამბორს გიყო, ვითარცა იუდა“ და სხ. ვინ არიან ეს იუდასაებრ ამბორების მიმცემნი?— ეს ის პირნი, რომლებიც თუმცა ეზიარებიან სისხლს და ხორცს ქრისტესსა და განიწმინდებიან ცოდვებისაგან, მაინც ხელ-აქლად ისევე სკოდავენ, ცუღს საქმეებს ჩაღიან.

რა გრძნობით უნდა მივუახლოვდეთ ჩვენ წმიდა საიდუმლო ზიარებას?— ჩვენ უნდა მივუახლოვდეთ წმიდა ზიარებას „შიშითა ღვთისათა და სარწმუნოებითა“. შიში იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ, როდესაც ბარძიშის წინ ვსდგევართ და მზათ ვართ მისაღებათ საიდუმლოსი, უნდა ვფიქრობდეთ და ვშიშობდეთ იმაზედ, იქნება უღირსათ ვიღებთო, უნდა ღრმათ ვსწუხდეთ ჩვენს ცოდვებზედ, — მასთან უნდა გვრწამდეს და იმედოც ვიქონიოთ, რომ უფალი ჩვენი იესო ქრისტე ამ ღროს მოწყალების თვალთ მოგვხედავს, რადგან იგი ჩვენის ცოდვების გამო იტანჯა. ჩვენ უნდა მივუახლოვდეთ წმიდასა და ცხოველს მყოფელს საიდუმლოთა მტკიცეს სარწმუნოებით, უნდა გვრწამდეს, რომ სახედ პურისა ჩვენ ქვშმარტად მივიღებთ ხორცსა ქრისტესსა და სახედ ღვინისა ქრისტეს სისხლსა,



რომელიც ჩვენთვის ჯვარზედ დაითხია. თუ ესრეთის სარწმუნოებით მივიღებთ ხორცსა და სისხლსა ქრისტესსა, მაშინ იგი გვექნება ჩვენ მკურნალათ ცოდვებისა, მაცხოვრებლად სულისა და ხორცთა, მომტყეებელათ ცოდვათა, გახდება მომაკვლინებელი ჩვენთა ვნებათა და განგვაშორებს მწუხარებათაჲსა.

მოვუახლოვდით, ძმანო, წმიდა ბარძიმა, წმიდა ზიარებას შიშით და კრძალულებით, მტკაცრე იმედით ქრისტე მაცხოვარზედ; იგლოვეთ თქვენი ცოდვები, ილოცეთ ასრე: „მრწამს უფალო და აღვიარებ, რამეთუ შენ ხარ ქეშპარიტად ქრისტე, ძე ღვთისა ცხიველისა, მოსრული სოფლად, ცოდვილთა ცხოვრებად, რომელთაგან პირველი მე ვარ“. **აჲნი.**

1894 წ.

მ მ მ ლ მ რ მ ბ ბ

წმიდა საიდუმლო ზიარების მიღების შემდეგ, მიმართული ასჯად მონაწილე ქართველთა ჟარისადმი, ქ. გორში, 12 მარტს 1888 წ.



ადლობა უნდა გარდაუწადლოთ, ძმებო, ყოვლად მოწყალე ღმერთსა, რადგან მან ნება მოგცათ და ღირს გყოთ ზიარებად ყოვლად უხრწნელისა ხორცისა და პატრონისა სისხლისა თვისის უსაყვარლესის ძისა, უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესისა, რომელიც იტანჯა ჩვენ ცოდვილთათვის. თქვენ ეხლა არაფრისა არ უნდა გეშინოდეთ, და თუნდაც ვინმე თქვენგანი მოჰკედეს, მაშინაც სიკვდილი საშიში არ იქმნება თქვენთვის, რადგან თქვენ ეხლა ღმერთთანა ხართ,—ესა სჩანს თვით



იესო ქრისტეს სიტყვებიდგან: „რომელი სჯამდეს ხორცს ჩემს და სმიდეს სისხლს ჩემს, იგი ჩემთანა არს და მე მისთანა“. თქვენ ეზიარებით, შეუერთდით იმას, ვინც დასთრგუნა სიკვდილი და ჯოჯოხეთი, და მოგვანიჭა საუკუნო ცხოვრება.

დიდს შემწეობას და დიდს ნუგეშის ცემას მიიღებს ის კაცი, რომელიც განიწმენდს თავისს თავს ცოდვებისაგან და სცხოვრებას დაიწყებს ღმერთთან. ცოდვილი კაცისთვის ცხოვრება მეტად მძიმეა, უცოდველთათვის კი მსუბუქი; — და აი, ძმებო, სინანულით, ლოცვითა და აღსარებით განიწმიდეთ თავი, განთავისუფლდით ცოდვებისაგან; წმიდა ზიარებით უფალმა განგკურნათ იმ კრილობისაგან, რომლითაც თქვენი სინიღისი შეპყრობილი იყო, მოარჩინათქვენი გული, მოარჩინათქვენი სული და ხორცი. ის, რომელიც სულში ცოდვას ატარებს, სულითვე ავადმყოფია და ადვილად შეიძლება ხორციტაც ავით გახდეს. თქვენ ეხლა განთავისუფლდით ცოდვებისაგან: იგინი აღარ შეაწუხებენ თქვენ სინიღისს, მაშ გაუფრთხილდით მომავალ დროისთვის, რომ აღარ შესცოდოთ, ევედრეთ ღმერთსა, რომ მან დაგიფაროთ ცთუნებისა და განსაცდელისაგან. ~~თქვენ ამიერიდგან სიხარულით უნდა შეუდგეთ მეფის სამსახურს: უნდა ისწავლოთ წესები და ჰქმნათ ყოველივე ის, რასაც მთავრობა გიბრძანებთ, თუ რომ ღმერთი გეხსომებათ, ღმერთსაც მარად ეხსომებით თქვენა, გამოგიგზავნით ნათელსა მეცნიერებისასა, რომ ადვილად შეიგნოთ თქვენი სამსახური. ლოცვით უნდა იწყოთ ყოველივე საქმე და ლოცვითვე დაამთავროთ. გიყვარდეთ მთავრობა, გიყვარდეთ თქვენი ამხანაგებიცა, ერთი ერთმანერთს ემსახურეთ, შემწეობა გაუწიეთ.~~

ის დიდათ სკოდავს, რომელსაც ყოველივე საქმეში თავისი ამხანაგი, თავისი მახლობელი სძულს, რომელიც ცილსა სწამებს, ან ჰსტუქსავს მას. ყოველივე ეს არ უნდა იყოს თქვენში;



თქვენ უწინარეს ყოველსა უნდა იცნობდეთ ღმერთსა, თქვენს  
 უფროსებს და სამსახურსა. გახსოვდეთ ღმერთი და მკნებანი  
 ღვთისანი. ერთი სიტყვით, უნდა გახსოვდეთ ის, რომ მეფის  
 სამსახური — ღვთის სამსახურია, — და თქვენ აქ აღარ უნდა იგო-  
 ნებდეთ ხშირად მშობელთა, ცოლ-შვილს. თავიდგან უნდა  
 აიცილოთ ყოველთავე ცოდვითი აზრი; ევედრეთ ღმერთსა, რომ  
 მან განგამტკიცოთ, შექმნე გეყოთ მეფისა და მამულის სამსა-  
 ხურში. რაც უმეტესად გეყვარებათ სამსახური, მით ჩქარა გა-  
 ივლის დრო სამსახურისა, ასრე რომ ვერც კი შენიშნავთ. ზა-  
 რმაციხათვის ყოველივე სამძამოა, ბეჯითისათვის კი საადვი-  
 ლო. მარად ევედრეთ ღმერთსა, სადაც კი უნდა იყოთ, ევედ-  
 რეთ, და მეც შევევედრები თქვენთვის, რომ ღმერთმა ჯან-  
 მრთელათ გამყოფოთ, მოგცეთ კეთილ-გონიერება და კეთილი  
 ფიქრი და შექმნე გეყოთ ყოველსა გზასა ცხოვრებისა თქვენისასა.

უფალი ღმერთი იყოს შემწე, მხსნელი და მფარველი  
 თქვენი ყოველგან და ყოველ დროს, აწ და მარადის და უკუ-  
 ნითი უკუნისამდე. **ამინ.**

12 მარტი 1888 წელს.

მ მ მ ლ ვ რ ი ბ ა

დღესა წმიდისა ჰასექისასა.

ქრისტე აღსდგა!



არმოიდგინეთ, ძმანო მართლ-მადიდებელნო ქრისტიანე-  
 ნო, რომ დღეს ამ დროს ჩვენს ეკკლესიაში შემოდის ვინ-  
 მე უცხო კაცი, იმისთანა, რომელსაც არ'გსმის საიდუმლოება



ჩვენის სარწმუნოებისა, — რომ მოისმენს აქ მგალობელთა აღ-  
დგომის ტკბილ საგალობელთ, დაინახავს დიდსა და პატარას  
მორთულ-მოკაზმულს, მათს უმანკო ღიმილს, სრულს სიხარუ-  
ლსა და მზიარულებას, დაინახავს მრავალ სანთლეს და კელა-  
პტრებს ალაპლაბ-აკაშკაშებულთა, — და მასაც, რომ სიხარუ-  
ლით ვეხვევით ერთი-ერთმანეთს, რას იფიქრებს? იფიქრებს  
უეჭველია იმას, რომ ან ჩვენმა მეუფემ და უფალმა გაგვხადა  
ღირსი თავისის ნახვისა, ან ჩვენ ვდღესასწაულობთ ჩვენს  
მტრებზედ ძლევას, ან იმასაც იფიქრებს — იქმნება რაიმე მოწ-  
ყალება მოგვევლინა ვისგანმე. ესრეთის ჩვენის სიხარულის მი-  
ზეზი რომ იკითხოს ამ კაცმა, რა უნდა ვუპასუხოთ? უეჭვე-  
ლია ვეტყოდით და მიუფგებდით პასუხად იმას, რასაც დღეს ხში-  
რად ეიმეორებთ ხოლმე სახლში და გზაშიაც: ქრისტე აღსდგა  
რომ გვკითხოს ამ კაცმა, თუ რას ნიშნავს სიტყვები: ქრისტე  
აღსდგა, რას მიუგებდით? მიუგებდით შემდეგს: დღეს დაითრ-  
გუნა ბოროტება და გამარჯვება დარჩა კეთილს, დღეს კეთი-  
ლი დღესასწაულობს, დღეს ქვეშაობისა და სიმართლის  
მზე აღმობრწყინებულთა, დღეს „ტვირთ მძიმეთა და მაშვრა-  
ლთა მხსნელი“ ღმერთი აღსდგა, აღსდგა ის, რომელმაც მო-  
ნობა დაამხო და დააფუძნა სიყვარული. მშვიერთა და ღძლუ-  
რთა, გლახაკთა და დავრდომილთა ღმერთი აღსდგა. ქერივთა  
და ობოლთა, სნეულთა და პყრობილთა გამკითხავი ქრისტე  
ღმერთი აღსდგა, ის ღმერთი, რომელმაც მოგვანიჭა ცხოვრე-  
ბა. ქრისტე, აღდგომის შემდეგ, პირველად გამოცხადა მენე-  
საცხებლეთა დედათა, შემდეგ მოციქულთა და მათ შორის  
ჩვენ ყოველთა. შემდეგ ქრისტეს აღდგომისა, მოციქულებს მკე-  
ვლინათ სული წმიდა, რომელმაც ისრეთი ძალა და სიბრძნე მიანიჭა  
იმათ, რომ ყოველივე დაბრკოლებას სძლიეს და თავისის ქადა-  
გებით დაიპყრეს ქვეყანა, ყველგან გაავრცელეს ქრისტიანობა  
და გამოუცხადეს ერს ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომა. მართა-



ლია, დღეს ჩვენ თუმცა ხორციელის თვალთ ვერა ვხედავთ აღდგომილსა, მაგრამ ვხედავთ იმას სულიერას თვალთ, რის გამო გახარებულნი ხმა-მალლა გავიძ.ხათ: «ქრისტე აღსდგა!..»

ქრისტე აღსდგა! ეს სიტყვები ქეშმარიტად ბრწყინვალე, ძლიერი და საგრძნობელია, ამიტომ რომ დღეს ყოველნი აღივსნენ ნათლითა, ცა, ქვეყანა და უფსკრულთა; ხარობს ზეცა, სადაც ანგელოზნი უგალობენ აღდგომილსა, ხარობს უფსკრული, რადგან იქ შთავიდა რა ქრისტე, დაარღვია ჯოჯოხეთი, და მორწმუნეთა სულნი ხარობენ ქრისტეს აღდგომისათვის.

დღევანდელი დღე საკუთრივ ჩვენთვისაა სასიხარულო, ამიტომ რომ ქრისტე ჩვენის ცხოვრებისათვის აღსდგა მკვლრეთით. უბრწყინვალესი, უდიდესი და უტკბილესი დღევანდელ დღესასწაულზედ ჩვენ არა გვაქვს რა სხვა დღესასწაული. ყოველთა სულიერის სიხარულით, ერთითა პირითა და ერთითა გულითა ვიხაროთ დღეს,—მივეგებნეთ იმას, ვისაც შეჰხაროიან და შეამკობენ ზეცისა ძალნი ტკბილის ხმით.

ზოგი თქვენგანი იფიქრებს თავისს გულში: მე ღარიბი ვარ, სიღარიბე მამრკოლებს და როგორ ვიმხიარულოვო; არა, ვიხაროთ ყოველთა, რადგან აღდგომილი ყოველს მდიდარს და გლახაკსა ერთად გეიწოდს და გვაძლევს უარაცხელ წყალობას; აღსდგა ქრისტე და ჩვენ ყოველნი—მდიდარნიც და ღარიბნიც ბედნიერი გაგვხადა; ღარიბი და საბრალო მხოლოდ ჯოჯოხეთია, რომელიც დარღვეულ იქმნა, საწყალნი და შესაბრალისნი ისინი არიან, რომელნიც თაყვანს არა სცემენ აღდგომილსა.

ზოგი თქვენგანი კიდევ იტყვის თავისს გულში: ცოდვით ვარ სავსე და როგორ ვიხაროვო; ნუ იქონიებთ ესრეთ ჰაზრებს, დივიწყეთ დროებით ცოდვები; ნუ იწუხებთ დღეს, აღდგომილის გულისათვის დღევანდელ ბრწყინვალე დღეს ნუ დახშავთ ცოდვებით.



თუ ზოგიერთმა ვინმე) თქვენგანი გააჯავრა, შეურიგდით მას ამ ბრწყინვალე აღდგომისათვის. ნუ ამღვრევთ ამ მშვიდობიანს სიხარულს დღესასწაულისათვის. შეურიგდით თანამოძმეს, სიხარულით და სიყვარულით მოეხვიეთ თქვენს მტერსაცა, როგორც ვებევეით ხოლმე დღევანდელ დღეს ჩვენს მეკობრებსა.

ვაპატიოთ ყოველივე და ყოველსა აღდგომის გულისათვის და სიხარულით აღსავსე გულით ვრქვათ ურაიეროსა: — „ქრისტე აღსდგა“ | **ამინ.**

## ს ი ტ ყ ვ ა

დღესა უფლისა ამაღლებისასა.

„და ოდეს აკურთხნა მოციქულნი, კანკეშორა მათგან, და აღვიდოდა ზეცად და იგინი თაყვანისცემდნენ მას, და მიიქცეს იერუსალიმად სიხარულითა დიდითა“.



ვენ შორის ძალიან იშვიათია ის შემთხვევა, რომ ერთისა რისამე მოშორებამ უცრემლოდ და უმწუხაროდ გაიაროს. კარგათ ვიცით, მაგალითებრ, რომ, როდესაც მშობლები შვილს ისტუმრებენ შორს სადმე სამსახურში—სტირიან. კარგათ ვიცით, რომ შვილები თუ ეწიადებიან მამის გასტუმრებას შორს სადმე—სტირიან; თუ რომ მშობელი ხუჭავს თვალებსა, ესალმება წუთი სოფელსა, გვმორდება და მიღას



საიქიოს, მაშინ ხომ ცრემლების ღვრას საზღვარიც-კი არა აქვს.—მოციქულები კი, რომლებიც შორდებოდნენ უფალს, როდესაც იგი ამალღდა ზეცად, არა სტიროდნენ, არამედ დიდის სიხარულით დაბრუნდნენ იერუსალიმში.

რატომ მოციქულებს არ უნდა ეწუხნათ ქრისტეს მოშორება, რ-დგან იაინი დაუტყვა ქვეყანაზედ, სადაც იმათ მოელოდა ხალხისაგან დევნა და სიძულვილი? ვიცით, რომ იერუსალიმში კიდევ იყო გროვა უფლის დაუძინებელ მტრებისა, იქ კიდევ ცოცხლები იყვნენ პილატე და იროდი, ცრუ მოწამეები და ფარისევლები, იქ ჯერ არ იყო დადუშმებული მათი სიმძულვარე-ბოროტება, ჯერეთ ცხოვლად მოსჩანდა გოლგოთის მთა და ყველას თვალ წინ უდგა ქრისტეს ტანჯვა-წვალება; იქ აღარ იყო უფალი, იგი განშორდა, აღვიდა ზეცად, უჩილავს ქვეყანაში; ან კი ამ ქვეყნად მშიშარა მოციქულებს რა იმედი უნდა. ჰქონოდათ თავისი მასწავლებლის და უფლის შემდეგ? იმათ კარგათ იცოდნენ, რომ მთელს ქვეყანაზედ ბოროტება-ლა სუფევდა, რომ ხალხი მათი წინააღმდეგი შეიქნებოდა. ასრეც მოხდა: პეტრე მოციქული ჯვარს აცვეს, პავლეს მახვილით თავი წარკვეთა, ანდრია მოციქულიც ჯვარს აცვეს, სტეფანე პირველი მოწამე ჩაქოლეს ქვებითა, როგორც თვით პავლე მოციქული სწერს, სტანჯეს და შეურაცხვეს. ესრეთი ცხოვრება მოელოდა მოციქულებს უფლის ამალღების შემდეგ, მაგრამ ისინი კი სიხარულით დაბრუნდნენ ზეთისხილის მთი-დგან იერუსალიმში. რა მიზეზი იყო, იკითხავთ, რომ ესრეთმა სიხარულმა მოიცვაო მოციქულების გული? რასაკვირველია, ის, რომ უფალმა ამალღებს წინათვე უთხრა მოციქულებს: „მე თქვენთანა ვარ ყოველთა დღეთა, ვიდრე აღსასრულადმდე ქვეყნისა“, ესე იგი თითქმის ასრე უთხრა: „თქვენ ნუ შესწუხდებით იმის გამო, რომ გშორდებით და ვითიამ იბღაოთ გტოვებდეთ ამ ქვეყნადაო! არა, მე თქვენთან მარად ვიქმნე-





ბიო, მხოლოდ ხშირად კი ეიქნები უხილაეათაო; რომ თქვენი სარწმუნოება მტკიცე იქმნესო და თქვენ მტკიცე სიყვარული იქონიოთ ჩემზედაო, ამის ნიშნად და დასამტკიცებლათ მე მოგივლენთ-გამოგიგზავნით თქვენ ნუგეშინის მცემელს სულის წმიდისაო, რომელიც მამისაგან გამოვალს, რომლის შემწეობით თქვენ გახდებით უშიშარნი, როგორც მტრის წინაშე, ისრეც ჯოჯოხეთისაო; ჩემის სახელით ეშმაკს დასთრგუნაფო, სხვა და სხვა ენებზედ იწყებთ ლაპარაკსაო, სასიკვდილე სასმელიც რომ შესვათ, არ გავნებთო; დასდებთ ხელს თუ არა სნეულთა ზედა, განიკურნებიანო. გარდა ამისა სული წმიდა ესრეთს სიყვარულს აღანთებს თქვენ სულშიო, რომ ვერც დევნა, ვერც ცეცხლი, ვერც სიკვდილი, ვერც მახვილი, ვერც მტერთა ბოროტება, არც თუ სხვა ტანჯვანი ამა ქვეყნისანი ვერას გავნებნო და თქვენ კი სარწმუნოებით სძლევეთ არა თუ მეფეთა, არამედ სამეფოთაც კიო.

აი, ძმანო, ესრეთის იმედების და აღთქმათა გამო მოციქულები ხარობდნენ, უფლის ამალღების შემდეგ ზეცად. მართლაც, განა იმაზედ უძლიერესი რამ იქნება, როდესაც კაცს წმიდა სული აქვს, როდესაც იგი ქველის მოქმედია? თუ რომ კაცი ძლიერია ისრე, რომ სასწაულებს ქმნაც კი შეუძლია, სნეულთა განკურნება, მკვდართა აღდგინება, ძლევა მეფეთა, ძლევა შეუპოვარ ბარბაროსთა, განძვინებულ მტერთა, მაშ ამ შემთხვევაში რათ არ უნდა იხაროს? თუ რომ კაცი მართლაც გრძნობს, რომ ქვეყნის წინაშე იგი მართალია, წმიდა აქვს სინილისი, მაშინ რაღათ უნდა ეშინოდეს ამ ქვეყნად? ესეც კია ამ ქვეყნად, რომ სიმართლე იშვიასია, აღარაა, ხშირათ სიმართლეს გზას უხევევენ და ისეე გაჰყაეთ ორპირთ, ცბიერთ, პირში მოლაქუცეთ და მოლალატეთ; ზოგიერთების ესრეთს საქციელს სამართლიანათ აწერენ ამ ანდაზას: „თეთრი კბილი და შავი გულიო“. კაცი, კმაყოფილი თავის ცხოვრებით, კმა-

ყოფილი საქმელ-სასმელით და დაიმედებული იმაზედ, რომ რასიკეთესაც ღმერთს შესთხოვს, მიეცემა, აროდეს არაა მოშიშარი მტაცებელთა, არაა მოშიშარი ცეცხლის, მატყუართა და მტანჯველთა. თუ რომ მისი სჯლი მარად ეამს ღვთის ხელთაა, მისნი საქმენი ღვთისაგანაა მომართულნი, განა მას ვისილა უნდა ეშინოდეს?

მოციქულები უფლის ამალლებას იმიტომ ხარობდნენ, რადგან მათ მიეცათ იმისგან ისრეთი სწავლა-დარიგება, რომელს თუ აასრულებდნენ, ზეციერს სასუფეველს დაიმკვიდრებდნენ. აგერ ცხრამეტმა საუკუნემ განელო მას შემდეგ, რაც ქრისტეს სარწმუნოება მოეფინა მთელ ქვეყანას, მოციქულთა იგი გააერცვლეს და შემდეგ მათ წარმომადგენელთა. მაგრამ ცოდვები და უსჯულოებანი ისევე მრავლდება, მრავლდება ისრე, როგორათაც მრავალ ფურცლოვანნი ხის ფოთლები იზრდებიან, ძლიერ ერცვლდება ბოროტება და უბედურება, ხალხი შევიწროებაშია, იტანჯება მტრის, მეგობრის და მრავალნაირის ცოდვებისა გამო. წარმოიდგინეთ ის პირნი, რომელნიც მძულვარებით მოიგონებენ იმას, რომ იუდა მოციქულმა, რომელმაც საძი წელიწადი სდია ქრისტეს, მისგან ისმენდა ქეშმარტს სარწმუნოებას და რომელიც ქრისტეს პინაკში სქამდა და მაინც იგი გაჰყიდა ოცდაათ ვერცხლათ, მოიგონებენ მუდამ წელს მისს საზიზღარს ქცევას, თვით უარესს საქმეს სჩადიან; ესევე პირნი ჯერ თავის თანამოძმეს ჰკლავენ უდანოთ, ჰლუპავენ და მეორე ღვთის კი ფარისევლურის ქცევით, სიცილ-ხარხარით მასთანვე მიდიან, მასთანვე სქამენ და ისრე თვალთ-მაქცურათ ექცევიან, რომ ვითომ-და არ აგრძნობინებენ. ესრეთს თავიანთს მოქმედებას, თავიანთს ბოროტგანზრახვის მისაღწევად ხმარობენ არა თუ იუდას ჩადენილს საქმეს, არამედ გარდამეტებულსაც კი?!. აი ესრეთი ბოროტება სუფევს ამ ქვეყნად, არა თუ ეს ესრეთ ღვენას, არამედ უა-



რესსაც კი არ თაკილობენ ჩაიდინონ. მაგრამ იმ იმედებით, რომ ღმერთი მრავალ მოწყალეა, რომ იგი ესრეთს ტანჯვა-წვალებას სიხარულათ გარდაუქმნის მართალ კაცთა, უკეთუ მოითმენენ, ყველა ჩვენგანი ვაჭირვებას არა რათ უნდა რაცხდეს. თვით ქრისტე მაცხოვარმა ბრძანა: „ნეტარ იუვნეთ ჩაყამს გდევნიდნენ და გვედრდნენ და სთქვან ყოველი სიტყვა ბოროტი ჩემდა მზართ სიცრუით თქვენთვის“. როგორც მოციქულები ხარობდნენ უფლის ამალღების შემდეგ, ჩვენც უნდა ვიხაროთ, რადგან ვიცით, რომ იესო ქრისტემ თვისის სიკვდილით და ტანჯვით ჩვენც გვიხსნა ტანჯვა უბედურებისაგან, მან გამოიხსნა კაცობრიობა ცოდვისაგან, უფლება მისცა ზეციერის სასუფველის დამკვიდრებისა. ის სასიხარულო იმედები, რომლებიც ქრისტემ გადასცა მოციქულებს და რის გამო მათ განიხარეს, ჩვენთვისაც უნდა იყოს სასიხარულო, რადგან უფალი ყველას ცრემლს მოსწმენდს და გაიხარებენ ჩაგრულნი, შეურაცხყოფილნი და დევნილნი იმ დღეს, რომელ დღესაც ქრისტე მეორეთ მოვამ ქვეყნად და გამოაშკარაებს ყველას სიმართლეს და უმანკოებას და მდევნელთ შეურაცხყოფს, ესე იგი ჩვენ დაუძინებელთა მტერთა, გაიხარებენ იმ დღეს დალონებულნი, მწუხარენი, ტყვენი, ტანჯვა და მწუხარება მათი შეიცვლება სიხარულათ და ნუგეშათ. **ამინ.**

მ ლ ე ჳ რ ი ბ ა

დღესა ღვთის-მშობლის მიძინებისასა.



ღვთისა და საყვარელის კაცის სიკვდალი ხშირად გამოიწვევს ხალხე ჩვენში მწუხარების ცრემლთა. ხშირად



ვხედავთ იმას, რომ კაცობრიობა უნუგეშო ცრემლებს ჰღვრის ხოლმე ძვირფასს არსებათა კუბოზედ; მაგალითად: უნუგეშოთ სტირიან მაცხოვრებელი მამის კუბოზედ შეილები, მწარე ცრემლებს ჰღვრიან დედაზედ, სტირიან მშობლები შეილების, ქმარი ცოლის და ცოლი ქმრის კუბოზედ. ან კი ვინ არ ყოფილა მოწამე ესრეთ-ს უნუგეშო გლოვისა? ვის არ მოუსმენია გულ-გამგმერი სიტყვები ტირილის დროს წარმოთქმული, როდესაც ქირისუფალნი მიაცილებენ უძვირფასესთა მიცვალებულთა სამარის კარამდის. მუდამ ესრე ხდება ხოლმე ცხოვრებაში და კაცობრიულს ძალას არ შეუძლია სხვაფრივით შესცვალოს ეს წესი.

მამ რას ნიშნავს, ძმანო, რომ წმიდა ეკლესია დღეს— დღესა ღვთის დედის მიძინებისასა, არ იპოსება გლოვის შესამოსელით, არამედ სიხარულით აღამაღლებს ქებათა საგალობლებს? ნიშნავს იმას, რომ ღვთის დედის მიძინება სამწუხარო შემთხვევა არ იყო; იგი არ მომკვდარა, არამედ გარდაიცვალა სიკვდილისაგან ცხოვრებად. თვით სიტყვა: „მიძინება ღვთის დედისა“— უჩვენებს, რომ მისი სიკვდილი არა ჩვეულებრივი იყო; ეს იყო თვით უტკბესი ძილი, რომლის შემდეგ ზალე მოხდა სასიხარულო გამოფიხილება.

აი როგორ მოხდა ღვთის-მშობლის მიძინება: უკანასკნელს და საშინელს ჯვარზედ წვალების დროს უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ ჩააბარა თავისი დედა მარიამი საყვარელს მოწაფეს წმიდა იოანე ღვთის-მეტყველს, რაიც შემდეგს მისს სიტყვებში გამოიხატა: „აჰა ძე შენიო“, უთხრა თავისს დედას, მიუთითა რა იოანეზედ; მართლაც, დედა ღვთისა მარიამ დასახლდა იოანესთან და იცხოვრა მასთან 15 წელიწადი; იმის საბლიდგან მარიამი ხშირად დადიოდა ზეთისხილის მთაზედ, საიდგანაც ქრისტე ამაღლდა და სადაც ცრემლით ვევედრებოდა, რათამცა უფალს აეყვანა იგი ზეცაში. ერთხელ, ესრეთ ლოც-



ვის დროს, წარსდგა მის წინ მათეარ-ანგელოზი გაბრიელი და გამოუცხადა იმას, რომ უფალი აღასრულებდა წმიდა სურვილს მისასაო. ამასთანავე მათეარ-ანგელოზმა ჩააბარა ღვთის-მშობელს ინდის ხურმის რტო და უთხრა, რომ ეს რტო გაემძღვარებინათ კუბოს წინ, როდესაც დასაფლავება მოხდებოდა პატიოსანის მისის გვამისა. ღვთის-მშობელმა აღტაცებული სიხარულით მიიღო ეს ხარება და დაბრუნდა თუ არა სახლში, მაშინვე იწყო მზადება აღსასრულისათვის. უბრძანა მოერთოთ ოთახი და მისი საწალი, აერთოთ სანთლები და ეკმიათ გუნდრუკი, შეეტყობინებინათ ყველა მახლობელთათვის დრო მისის აღსასრულისა. მართლაც, მრავალი ქრისტიანები შეიკრიბნენ, მწარედ სტიროდნენ; მარიამმა უბრძანა დასაფლავებინათ მისი გვამი იქ, სადაც ესაფლავნენ მისნი მშობელნი იოაკიმე და ანა—გეთსამანიის ბაღში. როდესაც ყველა ეს მზათ იყო, უცებ მოისმა შრიალი, ქუხილის მსგავსი, შეიკრიბნენ მოციქულებიც ღვთის შთაგანებით, რომლებიც სხვა და სხვა ქვეყნებში იყვნენ გაფანტულნი საქადაგებლათ. შევიდნენ რა ღვთის მშობლის სახლში, შესწუხდნენ, ნახეს, რომ ღვთის-მშობელს მოახლოვებოდა უკანასკნელი ქამი. იგი ამაგრებდა იმათ ამ სიტყვებით: „ნუ სტირათ, თქვენ ხომ კარგათ იცით, რომ მე მივალ ჩემს შეილს და უფალთან, თქვენ ისევ დაბრუნდით იქ, სადაც ღვთის სიტყვას ჰქადაგებთ. როდესაც უკანასკნელი წამიც ღვთის-მშობლის აღსასრულისა მოახლოვდა, მოციქულებმა საკვირველები ნახეს: თვით ქრისტე ზეცილგან გადმოვიდა, რომელსაც თან ახლდნენ ანგელოზნი და მთლათ ზეცის ძალნი, რომელმაც ყავლად ურწუნელის დედა მარიამის სული აღიყვანა ზეცად ხელითა; და ასრე, ამ ნაირათ მიიძინა ღვთის დედამ. შემდეგ ამისა მოციქულებმა ცრემლები ღვარეს ღვთის-მშობლის გვამზედ, აიღეს თავისს მხრებზედ და წაასვენეს დასაფლავებლათ, რომელსაც წინ უძ-



ლოდა იოანე ღვთის-მეტყველი ინდის ხურმის რტოთი, რით-  
მელსაც ღვთის-მშობელმა დაავალა ასრე მოქცეულიყო. გზაში  
გალობდნენ მოციქულები და მათ ბანს აძლევდნენ ზეით ან-  
გელოზებიც. დასაფლავეს გეთსამანიის ბაღში და საფლავს  
მიაგორეს დიდი ლოდი.—დასაფლავების შემდეგ გამოცხადდა  
თომა მოციქული, რომელიც ღვთის განგებით არ დაესწრო  
იმას, თუ როგორ დალოცა ღვთის-მშობელმა ისინი და აკურთხა  
წინათ მიძინებისა; თომას დიდათ სამწუხაროდ დარჩა, რომ იგი არ  
ელირსა და კურთხევა არ მიიღო მისგან წინათ მიძინებისა. ესრეთს  
მის მწუხარებას მოციქულებმა თანაგრძნობა გაუწიეს, რის გა-  
მო წაიყვანეს, რომ ეჩვენებინათ მარიამის საფ-ავი და თვით  
გვამიც, რომ უკანასკნელი ამბორის ყოფა მიეცა თომასაც.  
მაგრამ რა საკვირველება ნახეს, როცა საფლავს ახადეს? ნახეს,  
რომ მისი გვამი აღარ იყო, მხოლოდ შესახვევი-ლა იყო, გვა-  
მი კი მისი ზეცაში აღყვანილ იქმნა. მოციქულები, დასაფლა-  
ვების შემდეგ, დაბრუნდნენ იმავე ქვეყნებში, სადაც ჰქადაგებ-  
დნენ სახარებას.

აი მიზეზიც, რომ დღეს, ღვთის-მშობლის მიძინების დღეს  
რათ არ გლოვობს ქრისტეს ეკლესია, არამედ დღესასწაუ-  
ლობს. დღესასწაულობს იმიტომ, რომ ღვთის დედა მიძინების  
შემდეგაც არა გეტოვებს ჩვენ, არამედ შუამავლობს ჩვენთვის  
წინაშე ღვთისა, რათა მან ღირს გვყოს საუკუნო ნეტარებისა.  
მის ვედრებას მრავალი რამ შეუძლია. რამდენი მაკალითებია  
ჩაწერილი საღმრთო წიგნებში, რომ იგი მცველი და მფარვე-  
ლია ჩვენი; მისის ვედრებით მრავალ ცოდვილთათვის მიუტყ-  
ვებია უფალს ცოდვები.

თქვენგანნი, ძმანო, მრავალნი იფიქრებენ უეჭველია თა-  
ვისს გულში, რტყვიან, თუ ღვთის-მშობელმა რით დაიმსახუ-  
რა, რითი მოიპოვა ესრეთი ყოვლად ძლიერი მადლი ღვთისა-  
განაო? სხვა არაფრით, ძმანო, მხოლოდ თავის ცხოვრებითა.



იმისი ცხოვრება მრავალს სამოძღვრებელ მაგალითებს წარმო-  
გვიდგენს, რომლის ხელმძღვანელობითა შესაძლოა ევლირსოთ  
ქრისტიანულს აღსასრულს, უჭირველს, მშვიდობიანს და კეთი-  
ლის პასუხის გებას წინაშე ქრისტეს სამსჯავროისა. — მაშ მოკ-  
ლედ გავშინჯოთ მისი ცხოვრება, თუ გვინდა, რომ შეძლები-  
სა და გვარად გამოვიტანოთ რაიმე სასარგებლო მოძღვრება.

დედა ლეთისა მარიამი მეფის ჩამომავალი იყო, მაგრამ  
მიუხედავად ამისა, იგი არ იმკობდა თავს თავს, როგორც  
ეხლანდელი დროის ქალები, არც ოქროთი, არც ძვირფასის  
მარგალიტებით, არც ძვირფასის ტანთსაცმელით, არამედ უბ-  
რალო, მორჩილი ღვთის ნებისა, არ იყო მედიდური და ზვა-  
ვი; იყო წყნარი, უბიწო და უმანკო. ის ამნაირის ცხოვრებით  
იმას გვასწავებს რომ გულის-თქმათა და ანგაარებას არ უნდა  
მივსდევდეთ და ყოველთვის უნდა ვასრულებდეთ ღვთის ნებას.  
მართალია, დედა ლეთისამ მარიამმა შვა ძე, შემოქმედი ყავე-  
ლთა და გახდა მთ უბედნიერესი, უპატიოსნესი ქებათა, და  
სერაფიმებზედ, მაგრამ დიდ მწუხარებასაც არ გადურჩა.  
ქრისტე დაიბადა თუ არა, დაუწყეს დევნა და მაშინვე უნდა  
მოეკლათ ჯერეთ ყმაწვილი, რაისათვის დედა მარიამი გა-  
იქცა ეგვიპტეში. როდესაც გამოვიდა საქადაგებლათ ქრისტე  
და იმ დროს არჩენდა რა ხალხს ყოველის ქრილობისა და სწე-  
ულებათაგან და, სდევნიდა რა ამისთვის ხალხი მოსაკლავად,  
რაოდენი ცრემლები ღვარა მარიამმა და რაოდენი ტანჯვა და-  
ითმინა; მრავალგვარი ტანჯვა და სულის კვეთება დაითმინა  
განსაკუთრებით იმ დროს, როდესაც მისი შვილი ჯვარზედ  
იტანჯებოდა. აი აქ გამოაშკარადა მთლათ დიდება ღვთის-  
მშობლისა; ის არ აყვირებდა უფალს ღმერთსა, არამედ რად-  
გან მორჩილი იყო ზეციერის მამის ნებისა, თავის გულში ას-  
რე ამბობდა: „კურთხეულ იყოს უფლის სახელი, მ-სი ნება  
აღსრულდესო“. ჰხედავთ, ძმანო, თუ რა დარცგება ჩვენთვის



ჩვენთვის ესრეთი მისი მაგალითი, განსაკუთრებით თუ მოვი-  
გონებთ, მაშინ როდესაც ცხოვრების სიმწარეს ვიგეგმებთ ხოლ-  
მე? როდესაც რაიმე მარცხი გვეწვევა ხოლმე ცხოვრებაში,  
ყოველთვის ღმერთს ვაყვედრით, ვსწუხვართ, ვემდურით, ვგლო-  
ვობთ. ჩვენ ასრე გვგონია, ვითომ ეს გადამეტებული, დი-  
დი და მძიმე ტანჯვა იყოს. ჩვენ ხშირად ვიმეორებთ, რათ  
მოგვდის ეს ტანჯვა ღვთისაგან, როდესაც არ დაგვიმსახურია  
ესო; არ გვინდავო უფლის გულისთვის მოვითმინოთ, რომე-  
ლიც ჩვენთვის იტანჯა, რის გამო ჩვენ სასოებით დაუძლუ-  
რებულნი, ღვთის მოწყალებას ვკარგავთ. მივბაძოთ, ძმანო,  
ღვთის ღვდის მარტივს სადა ცხოვრებას, სიმდაბლეს, ქირსა  
და ბოროტებაში მოთმინებას, თუ რომ გვინდა, რომ ჩვენც  
ვეწიოთ მშვიდობით, უჭირველს ჩვენს აღსასრულს, რომ კე-  
თილი პასუხი გავცეთ ქრისტეს საშინელის გასამართლების  
დღეს სააქაო ცხოვრებისათვის. **2006.**

ს ი ჭ ყ ე ა,

თქმული ქ. გორის საკრებულო ტაძარში, საეკლესიო სამზრუნვე-  
ლს დაარსების გამო, 30 ივნისს 1896 წ.

**კ**რთი დიდი, სასარგებლო და საყურადღებო დაწე-  
სებულება დაარსდა ჩვენს საკრებულო ტაძართან,  
რომელიც სასიამოვნოდ ჩასათვლელია იმათათგან,  
ვინც კი თანაუგრძნობს ახლად დაწყებულს კეთილ  
საქმეს.—ამ დაწესებულებას ჰქვიან საეკლესიო სამრევლო სა-  
მზრუნველო. ესრეთი სამზრუნველო თუმცა წინადაც არსებობ-  
და ამავე ეკლესიასთან, მაგრამ თავისი მოქმედება დიდ ხანს  
ვერ განაგრძო, ვერ მოიკიდა ნიადაგი და სხვა და სხვა მიზე-





ზებისა გამო მალე გაუქმებულ იქმნა. არ შეეცებები აქამდე მიზეზებს, არ შეეცებები არც იმას, თუ-რა გააკეთა მან თავის არსებობის დროს, მხოლოდ ვიტყვი იმას, რომ ხშირად თუ რომელიმე საზოგადო საქმეს გზა აექცევა, პირი ებრუნება ხოლმე, თავის დაწყობილი საქმე სისრულეში ვერ მოჰყავდა, სიტყვა საქმედ ვერ გარღუქმნია, იმას დაბრკოლება მრავალ გვარი ელობება ხოლმე წინ, ზოგჯერ პირადი ინტერესები, ზოგჯერ უსიამოვნება ერთისა მეორისადმი, შური-მტრობა, და სხვა მრავალი.—აი ამ შემთხვევაში სწორედ რომ მტკაცე და მაგარი ხასიათების მექონე არას დროს არ მიხედავს, არ შეუშინდება არავითარს უსიამოვნებას, იმ იმედით, რომ მომავალი დააფასებს მისს თავ-განწირულ მოქმედებას, დაკისრებულს მასზედ საზოგადოებისაგან, ანუ კერძოდ რომელიმე მთავრობისაგან, რის გამო ყოველს საშუალებას იხმარს, სძლიოს დაბრკოლებანი.

სამრევლომ, აირჩია რა თავის შორის სამზრუნველოს წევრებად რამდენიმე კეთილ საიმედო პირნი, დარწმუნებულია, რომ ესენი არ უღალატებენ მოვალეობას და სინიღისს, გულგრილად არ მოეკიდებიან საქმეს, არ მიაქცევენ ყურადღებას ინტერესებს; მრევლი იმაშიცაა დარწმუნებული, რომ სამზრუნველო მართო მადლობის მიძღვნას არ მოგლოდება შრომისათვის მრევლისაგან, არამედ იმას, რომ ღმერთი შესაფერს ყურადღებას მიაქცევს თვით საქმეს და ერთი ათასად გადაუხდის.

სამზრუნველოს უპირველესი მოვალეობა იმაში მდგომარეობს, რომ მან დიდი ყურადღება მიაქციოს თავის სამრევლოს ეკლესიის ავ-კარგიანობას, მისს გამშენიერებას, მოაწყოს ისრე, როგორც შეპშენის ღვთის სახლსა. ჩვენ კარგათ ვიცით, რომ ყოველი კაცი იმას ცდილობს, საშუალება გამოიხახოს თავის სახლის მოსაწყობად, სცდილობს სისუფთავეს და ყოველის მხრით დაკმაყოფილებას; თუ კი ასრეა, რატომ იგი



ვალდებულად არ უნდა რაცხდეს თავს იზრუნოს ეკკლესიისთვის, რომელიც სულიერად და ხორციელად ჩვენი მზრუნველია, რომელიც, როგორც მზრუნველი დედა თავის შვილების მასწავლებელი და დამრიგებელია ქრისტიანულს ზნეობა-ქეშმა-რიტებაზედ, რომელიც დღე მუდამ არა თუ მლოცველია ჩვენის კეთილ დღეობისათვის, არამედ დიდათ მზრუნველია ჩვენისავე სულის ცხოვნებისათვის?—ყოველი ნაკლის შევსება ეკკლესიისა უნდა იტვირთოს სამზრუნველომ, უნდა გამოიხატოს წყარო და საშუალება მისს შესაესებლად.

სამზრუნველო მოვალე არის ეკკლესიის კრებულს ერთხელ და სამუდამოდ აუშენოს საცხოვრებელი ბინა; მოვალეა დააკმაყოფილოს თავიანთი ხეცდრი მოძღვრები, ცხოვრებით, ნიეთიერად, რადგან ამ შემთხვევაში კარგად დარწმუნებული უნდა იყოს მრევლი, რომ მათი მოძღვრები უფრო კეთილ სანიდისიერად და ერთგულათ შეასრულებენ მოვალეობას; წინააღმდეგ შემთხვევაში; თუ კი მოძღვარი იმის ფიქრში იქმნება, თუ რა გამოართვას მრევლს, რით იცხოვროს, საიდგან რა მოიპოვოს, დღე მუდამ იმის ფიქრში იყოს, ვინ დაიბაზადება, ვინ მოინათლება, ვინ დაქორწილდება და ვინ მოკვდებაო, რომ საცხოვრებელი აეიღოთო, განა რა მოძღვარი-ლა უნდა იყოს, ან ამან რა უნდა უქადაგოს მრევლსა, თუ კი იგი მონატრე იქმნება ვისიმე თავის მრევლის სიკვდილისა? ჯამაგირი, რომელიც დღეს მღვდლებს ეძღვევა, ძალიან მცირე-დია, რაიც სახლის ქირათ არა კმარა; ამიტომაც შემოსავალზედაა დამყარებული მღვდლის ცხოვრება, რის გამოც, რადგან ზოგი კეთილ ნებით არ მისცემს მოძღვარს საშრომოს, იძულებული ხდება ზოგჯერ მოსთხოვოს, და აი ამ თხოვნის გამო იძულება ხდება მოძღვარს და მრევლს შორის. მართლაც ვიფიქროთ, თუ კი მოძღვარი—მქადაგებელი ქეშმარიტებისა კუქმშიერი იქნება, მშიერ-მწყურვალ იყოლება სახლობა, გა-



ნა რა გული ექნება სამსახურზედ, მით უმეტეს, რომ ეხლანდელს დროში დიდათ და დიდათ გაქირვებულია ყველასათვის ცხოვრება. სამზრუნველოს ამ შემთხვევაში თავის მიზანის მისაღწევად შეუძლია იშუამდგომლოს უმაღლესს მთავრობის წინაშე—მოემატოს ჯამაგირი სამღვდულოებას, რადგან ამსახით ჯამაგირის მიცემა ზოგიერთ რუსეთის გუბერნიებში უკვე სისრულეშია ცაა მოყვანილი.

სამზრუნველო აგრეთვე მოვალე არის ღარიბ და შეუძლებელს მრევლს აღმოუჩინოს რითიმე შემწეობა დაეხმაროს, გაქირვებულთა და გაუბედურებულთა.

სამზრუნველო მოვალეა მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება იმას, არსებობს თუ არა ეკლესიაში მგალობელთა გუნდი, რადგან უნდა ახსოვდეს, რომ მაშინ ივლის საკმაოდ ხალხი ეკლესიაში, თუ მას წესიერი მგალობლები ჰყავს, და მაშინ არა თუ მარტო მსმენელნი დასტებებიან ტკბილ სასმენელ-სასიამოვნო გალობით, არა თუ თვით სამღვდულონი სასოებით შეასრულებენ წირვა-ლოცვას, არამედ თვით ეკლესიას გაუორკეცდება შემოსავალი; ამის გამო სამზრუნველო ვალდებულია საშუალება გამოიხაზოს მგალობელთა გუნდის სამუდამოდ დაარსებისათვის.

სამზრუნველო სხვათა შორის მოვალეა იზრუნოს სასაფლაოსათვის, რომ იგი სუფთად და წესიერად იყოს შენახული, ისრე, როგორც შეჰშვენის ქრისტიანეთ სასაფლაოს. ჩვენ კარგათ ვიცით, რომ სასაფლაო ისრეთი ადგილია, სადაც მიცვალელებულნი განისვენებენ; ესაა ადგილი, ანუ ღვთის ყანა, სადაც დათვისილ არიან სრულნი მომავლისა აღდგომისათვის.— ზოგიერთნი თავიანთ გულში იფიქრებენ: „მიცვალელებულთათვის სულ ერთია, სადაც უნდა იყოს ის დასაფლავებულიო, სუფთათ, თუ უსუფთაოთ მოვეციდებით იმის ადგილს, მიცვა-

ღებულის მტვერი არასა გრძობსო“; მაგრამ ეს სრულებით ტყუილია. ჩვენ კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ სასაფლაო ისეთი ადგილია, სადაც ქრისტიანის სხეულია დასაფლავებული, ის სხეული, რომელიც საზრდოვდებოდა ქრისტეს; სისხლხორციით და რომელსაც მოციქული პავლე უწოდებს ტაძრად სულის წმიდისა; მაშასადამე ეს ტაძარი წმიდათ და სუფთათ უნდა იყოს დაცული. ის, რომელიც მძულვარებით მოეპყრობა ქრისტიანის საფლავს, უწმინდურებით შეაგინებს, ღირსი შეიქმნება ღვთისაგან სასჯელისა. ჩვენ ისიც კარგათ უნდა ვიცოდეთ, რომ დასაფლავებულთა შორის წმიდანებიც მოიპოვებიან, რომელთა მითითება ჩვენ თვით არ შეგვიძლიან, რადგან არ ვიცით დარწმუნებით, და რომლის ცოდნაც ღვთის საიდუმლოებას შეადგენს. ის მიცვალებულნი, რომელნიც სესაფლაოზედ განისვენებენ, მადლობას არ გადაგიხდიან, რომ მათი ადგილი შეგინებულ იქმნას; თუ რომ ისრე სუფთათ არ დავიცავთ, როგორც ჩვენ სახლსა, საყვედურს განაცხადებენ ჩვენზედ, გვეტყვიან, თუ კი ჩვენ, რაც კი გვქონდა დაგიტყვევთ, არ შეგიძლიანთ, რომ ჩვენ მტვერს პატივით მოეპყროთო და არ შეაგინოთო. ამ შემთხვევაში სათქმელიცაა აქვსთ და ჩვენც კარგათ უნდა გვახსოვდეს, რომ ეს ადგილი—ადგილია საუკუნო გასასვენებელი, სადაც ჩვენ დღეს თუ ხვალ უნდა მივიქცეთ და ვიცხოვროთ.

მაშასადამე, რადგან სამზღუნველომ, დაინახა რა, რომ ადგილი, სადაც მიცვალებულნი განისვენებენ, დიდი ხანია უკიდურესს მდგომარეობაშია, პირუტყვთ ხშირის სიარულისა გამო უსუფთაოთაა შენახული, მშვენიერი ძეგლები საფლავებზედ დადგმულნი და ავაზაკთ ხელით შებლალულა, შეგინებული არიან, რომ მას არ ჰყავს არც დარაჯი და არცა აქვს შესაფერი გალავანი,—თავის პირველ სხდომაზედ გარდასწყვიტა: შეუდგეს მის რიგზედ და წესზედ მოყვანას, სთხოვს



მთელს მრევლს იტვირთოს ჯერეთ უპირველეს ყოვლისა გაუკეთოს თხრილი, რომ პირუტყვი არ დაიარებოდნენ, და შემდეგ იზრუნავს როგორც თავის სასაფლაოს ეკლესიის გამშენიერებაზედ, ისე სასაფლაოს სისუფთავეზედ. გთხოვთ უმოჩინალად ჩემის მხრით გარდასცეთ ერთი ერთმანერთს, მართლათ გორის საპრევილოს, რადგან სასაფლაო საზოგადოა ყველა მართლმადიდებელ ქრისტიანთა გორში მცხოვრებელთათვის, რომ შრომა გასწიონ, რითიც კი შეუძლიანთ, ყველამ საშუალება აღმოუჩინოს, ნუ დაზოგვენ ნურც შრომას და ნურც წვლილს, შეეწიონ ამ კეთილს საქმეს, რისთვისაც ღმერთი, დააჯილდოვებს მათ კეთილდღეობით, როგორც იმ ქვეყნად, ისე ამ ქვეყანაზედ. **ამინ.**

### მ.ო.კლ.ე ს.ი.ტყვა.

ქმულდი ქალაქ გორის სასულაერო სასწავლებლის ახალის შენობის საძირკვლის კურთხევის დროს \*).



ღეს გორის სამღვდლო და საერო პირთ მოვიყარეთ აქ თავი, რომ შევთხოვით ყოვლად მოწყალე ღმერთსა, რათა მან მოგვეცეს ჩვენ მიერ დაწყებულ სასულიერო სასწავლებლის ახალი სახლის აღშენების საქმეში ძალა და შეძლება, რომ კეთილათ, მშვიდობიანათ დაგვემთავრებინოს ეს საქმე.

კაი ხანია, რაც ჩვენმა სამღვდლოებამ საქიროთ დაინახა სასულიერო სასწავლებლისათვის ახალის შენობის აღმართვა, რომლისათვის იგი არ ზოგავს თავისს უკანასკნელს წვლილსა,

\* ) ეს სიტყვა დაბეჭდილია „მწყემსის“ 1888 წ. მე-11 №-ში.



ოღონდ მათმა შეილებმა ჯეროვანი სწავლა-განათლება მიიღეს, ღონ ამ სასწავლებელში. დიდი ხნის მოსაზრების და საქმის აწონ-დაწონის შემდეგ ეს კეთილი განზრახვა უკვე განხორციელდა.

ყველა ჩვენგანმა კარგად უწყის, რომ ყოველ საქმეს მხოლოდ მაშინ ეძლევა მომეტებული სიკაცხლე, როდესაც მას ჰკიდებენ ხელს მრავალნი პირნი შეერთებულის ძალით. ყოველ კეთილ საქმეში საჭიროა დახმარება და შემწეობა მახლობელთაგან. ესრეთი დახმარება უნდა იყვეს მუდმივი და არა დროებითი. ყოველ კეთილ და სასარგებლო საქმეში შემწეობას უნდა ვაძლევდეთ ერთმანერთს და შეერთებულის ძხურის ძალით უნდა ვცდილობდეთ რომ მივალწიოთ ყველასათვის სასურველს საერთო მიზანს „რათა სრულ იყოს ღვთისა კაცი იგი, ყოფლისა მიმართ საქმისა კეთილისა განმტკიცებულ. (პავლე მოციქ.).

თუ გვინდა, რომ მტკიცე და მკვიდრ ნიადაგზედ იყოს დამყარებული ეს სასიქაღულო საქმე, რომელსაც ჩვენ უკვე შევეუდგეთ, თუ გვინდა, რომ ჩვენმა შეილებმა და შეილის შეილებმა ამ სასწავლებელში შეიძინონ სწავლა, რომლის შემწეობით სძლიონ უმეტრებს, პირნათლათ გაუძღვნენ ჰირსა და ლხინსა, მოჰფინონ ხალხში განათლება, გაჰფანტონ სიბნელე გონებისა და აღამადლონ ზნეობა, ნუ დავზოგავთ შეძლებებისა და გვარად, შრომას და ღვაწლს, ნუ მოვერყდებით დაბრკოლებათა; დამტკიცებულია საზოგადოთ, რომ ყოველ კეთილ საქმეს წინ გადაეღობება ხოლმე დაბრკოლება, მაგრამ ჩვენ უნდა ვსძლიოთ ამ დაბრკოლებათა იმ იმედით, რომ ჩვენი შთამომავლობა დააფასებს ჩვენგნით ჯაფით და მოთმინებით განელილ ცხოვრებას.

13 მაისს 1888 წელს.



# ს ი ტ ყ ვ ა \*).

თქმულა გორის სასულიერო სასწავლებლის ეკლესიის კურთხევაზედ,  
24 სექტემბერს 1889 წელს.



აქს თავის მოკლე სიკოცხლის დროს ხშირად ისრეთ  
 საშიშარს მტრებთანა აქვს საქმე—ბრძოლა, რომელ-  
 ნიც შეუწყნარებლად და სასტკად სდევნიან, სთრ-  
 გუნავენ და ბოლოს უღებენ მას. იმ აურაცხელ  
 მტერთა შორის, რომელნიც კაცს მუდამ გარს ახვევიან, რო-  
 მელნიც პირქვე დამამხობელი, გამათახსირებელი, შემადრწუნე-  
 ბელი და დამლუბველნი არიან კაცის სიკოცხლისა, უსაშინე-  
 ლესი მტერი არის სენი უმეცრებისა. თუ რამოდენად გავრ-  
 ცელებულია ეს სენი ჩვენში, ამას ამტკიცებს შემდეგი მაგა-  
 ლითები: დღეს ჩვენს ხალხში სიმტკიცე ხასიათისა დასუსტე-  
 ბულია, პატროსანი ზნე-ჩვეულება მასპობილია; აღარაა სათ-  
 ნოება გულისა; მათ ნაცულად ფეხს იკიდებს ბოროტება, თა-  
 ლლითობა და გაიძვერაობა. დაუნდობლობას, შურს, მტრობას,  
 უსამართლობას, ცარცვა-გლეჯას, ცემა-ტყუებას და ხალხის ხო-  
 ცვას ვინ მოსთვლის.

რა საშუალება უნდა იხმაროს კაცმა, რომ ამნაირ—უმგ-  
 ვანო ცხოვრებიდგან გამოვიდეს და ისე იცხოვროს ქვეყანა-  
 ზედ, როგორც შემფერის? ერთად ერთი სახსარი, რომ ამ უმ-  
 გვანო ცხოვრებიდგან გამოვიდეთ, არის განათლება, რომელ-  
 ზედაც დამოკიდებულია მთელი კაცობრიობის კეთილ-დღეობა  
 და წარმატება. ამისათვის ყოველი ჩვენგანი ვალდებულია იზ-  
 რუნოს, რომ მოზარდ თაობას მისცეს შესაფერი აღზრდა; ამი-  
 სათვის აუცილებლად საჭიროა სასწავლებლების დაარსება, სა-

\*) ეს სიტყვა დაბეჭდილია „მწყემსის“ 1890 წ. მეორე ნომერში.



სწავლებელი არის მომსპობელი და გამფანტველი უმეტრებათა სენისა. სასწავლებელი არის განათლების ლამპარი, რომელიც უუქსა ჰვენს კაცის ცხოვრებას. სასწავლებელი საზოგადოებას სძენს ისრეთ პირთა, რომელთაც პირ-ნათლად შეუძლიანთ გაუძღვნენ იმას ჭირსა და ლხინში სასწავლებლების არსებობა ქვეყანაზედ, მათი უმთავრესი საზრუნველი საგანი და დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რომ გააერცელონ ხალხში განათლება, რომელმაც კეთილი უნდა მოჰყინოს ქვეყანაზედ, ბოროტება შეასუსტოს. განათლება კაცის ზნეობის აღმამალებელია; იგი მარად ავარჯიშებს მას გონებით, ნივთიერად ამდიდრებს, ცუდს ზნე-ჩვეულებას უსპობს, ხალხს ერთი ერთმანერთთან აახლოვებს. დღეს ისრეთი დროა, რომ ვისაც სწავლა ცოდნა არა აქვს შეძენალი და ამ ფარ-ხმლით არ არის აღჭურვილი, ის იმ ულონო კაცს ემსგავსება, რომელიც სხვის ხელთა შემაყურებელია, რა არის სხვისი ნაოფლარით ისარგებლოს და მით გამოიკვებოს თავის თავი.

უმთავრესი ჩვენი მოვალეობა იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ აღვზარდოთ ჩვენი შვილები; უნდა ვეცადოთ, რომ ისრე აღვზარდოთ, როგორც დრო და ჟამი მოითხოვს, უნდა უფრთხილდებოდეთ ჩვენს შვილებს—მოზარდ თაობას, როგორც ჩვენს თავს, მერმისის იმედს და მათი ბედნიერება ჩვენ ბედნიერებად უნდა ჩავთვალოთ, რადგან მომავალი ცხოვრების კეთილ-დღეობა ჩვენი მათზედაა დამოკიდებული, ჩვენ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ, თუ ჩვენი შვილების ყოველ საჭიროებას ყურადღებით და გულ-დასმით მოვეპყრობით, თუ შრომა და ამაგი მათზედ კეთილ-სინიდისიერად და პატიოსნად იქმნება მოხმარებული, მაშინ ეს ზნეობითი ვალი, ჩვენის მხრით მოყვანილი აღსრულებაში, იქმნება ჩვენთვის ჯილდო.

ამ უკანასკნელს დროს, როგორათაც სხვა წოდების ერ-





თა შორის, ისრე ჩვენ სამღვდლოთა შორისაც იჩინა თავი მეტად სასიამოვნო მოვლენამ, სწავლა-ცოდნის საქიროებამ. სამღვდლოება გრძნობს და დარწმუნებულია კიდევ, რომ წარმატება კაცისა როგორც გონებითად, ისე ქონებით შესაძლებელია მხოლოდ სწავლით და განათლებით და თუ ამ მხრივ იგი დაუკმაყოფილებელი დარჩა, სამუდამოდ პირუტყვად დარჩება; ამიტომ ჩვენი სამღვდლოება ცდილობს, რომ მოზარდი თაობა გააპატიოსნოს და გარდაჰქმნას, გარდააკეთოს გონებითად და ზნეობითად.

დღევანდელი დღე ქეშმარიტად სასიხარულო და სასიამოვნო დღეთ უნდა ჩაეთვალოთ არა მარტო ჩვენ სამღვდლოთათვის, არამედ მთელი საზოგადოებისათვის. ჩვენმა სამღვდლოებამ აღმართა მოზარდ თაობისათვის ეს მკვიდრი შენობა, საიდგანაც სწავლა-ცოდნას გამოიტანს მოზარდი თაობა— ჩვენი შვილები.

დასასრულ, მსმენელნო, არ შემძლიან უყურადღებოდ დავსტავო ის ღირს შესანიშნავი ფაქტიც, რომ ამ ჩვენ მიერ აღმართულ შენობასთან—სასწავლებელთან, მოთავსებულია ეკლესიაც, რომელაც უკვე ეკურთხა დღეს ღირსისა მაშისა ჩვენისა გიორგი მთაწმინდელის სახელზედ. ამიტომ საქიროდ ვრაცხ მოკლედ მოგიხბროთ ამ წმ. გიორგის ცხოვრებაც. იგი იყო თავადის შთამომავალი სამცხედან (ეხლანდელი ზემო-ქართლიდგან); იყო ქეშმარიტი ქრისტიანე; მის მშობლებს აღთქმა ჰქონდათ ღმერთთან, თუ რომ მათ შეეძინებოდათ ძე, შესწირავდენ მასვე, მარალაც, შეეძინათ მათ ძე გიორგი, და როდესაც შეიქმნა შვილის წლისა, მშობელთ მიიყვანეს იგი მონასტერსა ტაძრისისასა და ჩააბარეს იგი მისსავე დას თეკლეს. გიორგი დაიბადა მეთერთმეტე საუკუნეში და დროსა მის მყოფობისასა ტაძრისის მონასტერში, იგი როგორც ხორციელად, ისრე ღვთის შიშსა და ქრისტიანულს კეთილ-მსახურებაში



იზრდებოდა. ღირსი გიორგი სიყრმიდგანვე ზრუნავდა ივერიის ეკლესიისათვის, რისთვისაც ღვთაებრავი მადლი მას თან უძლოდა, უმართავთა ხელს ყოველ საქმეში. ამ მონასტერში გიორგიმ დიდხანს არ დაჰყო; იგი გადავიდა ხახულის მონასტერში, ახალციხის ახლოს. ამ მონასტერში გიორგი სწავლობდა საღმრთო წიგნებს და ისრე დახელოვნდა, რომ მალე გადააქარბა თავისს ამხანაგებს. ხახულია მონასტრიდგან გიორგი გადავიდა კონსტანტინეპოლში. აქ მან შეისწავლა: ფილოსოფია, ღვთისმეტყველება, რიტორება, ბერძნული და სხვა ენები. კონსტანტინეპოლიდამ წმიდა გიორგი დაბრუნდა ისევე ხახულის მონასტერში, შეიმოსა საქმა, იქიდგან იმოგზავრა იერუსალიმს და სირიას, საიდგანაც დაბრუნდა ათონის ივერიის მონასტერში, სადაც მიიღო მღვდლობა.

ღირსმა გიორგიმ გადაათვალთქვა და შეასწორა წმიდა სახარება, აგრეთვე გადაასწორა პაეღე მოცაქულის ეპისკოპოსი და მასთან მრავალი სხვა წიგნებიც სთარგმნა, რომ ივერიის ეკლესიაში შემოეღო წესი და რიგი ღვთის-მსახურების დროს. ღირსმა გიორგიმ სთარგმნა ბერძნულიდამ ქართულს ენაზედ სხვა-და-სხვა საეკლესიო წიგნებიც.

სხვათა ღვაწლთა და შრომათა შორის, გიორგის ის ღვაწლიც მიუძღვის, რომ სამეგრელოს ჭყონდიდის მონასტერში მან დააარსა სასწავლებელი, სადაც ასწავლიდნენ გამოცდილნი მწყემსნი ეკლესიისანი ქრისტიანულს სარწმუნოებასა და ზნეობას. ამასთანავე მან შეჰკრიბა ოთხმოცამდე ობოლი სხვა-და-სხვა წოდების ყრმა და ერთგულად ასწავლიდა მათ ქრისტიანულს სწავლას და ზრდიდა მათ ღვთის შიშსა და კრძალულებაში.

ღირსი გიორგი გარდაიცვალა კონსტანტინეპოლში, აქედგან მოასვენეს მისი გვამი ათონის ივერიის მონასტერში და დაასვენეს ერთს ეკლესიაში. ბოლოს საქართველოს ეკლესი-

სიამ წმ. გიორგი შერაცხა წმიდათა შორის და დღესასწაულიც დაადგინა 27 თიბათევს.

ამ ეკლესიაში ჩვენი შეილები ყოველ უქმე და დღესასწაულ დღეებში მოისმენენ წირვა-ლოცვას. ეკლესია სასულიერო სასწავლებელში მცველია მოწაფეთა და აძლევს მათ „სიბრძნის დასაბამს, შიშსა ღეთისასა“. ამ ეკლესიაში ჩვენი შეილების ნორჩი გულნი მარად უნდა მიივლტოდნენ ლოცვითა ზეციურის მამისადმი, რომ მან მისცეს მათ შრომაში შემწეობა, სწავლაში ნიჭიერება, მათ-და შესაფერ მწუხარებაში ნუგეშის-ცემა; იგი ეკლესია მუდმივი მომგონებელ-უნდა იყოს როგორც მასწავლებელთა, ისრე მოსწავლეთათვის, რომ მიაღწიონ ჰემმარიტს ქრისტიანულს ზნეობის აღზრდის მიზანს, კეთილ-კრძალული ყოფა-ქცევა იქონიონ ცხოვრებაში, კეთილი განძრახვა და სიფრთხილე ჰქონდეთ სიტყვის წარმოთქმაში და ყოველ ქცევისა და მოძრაობაში.

ვმადლობდეთ უფალსა ღმერთსა იმ დიდის წყალობისათვის, რომელიც მან გარდმოგვიღიანა ჩვენ ამ სასწავლებლის ეკლესიის აღშენების დროს. აღვაროთ მის წინ მდაბალის გულით: „უკეთუ უფალმან არ აღაშენა სახლი, ცუდათ შერეზიან მაშენებელნი მისნი“.

ყველასათვის მანუგეშებელი და განმაცოცხლებელი უნდა იყოს ის გულითადი შემწეობა და ცხოველი თანაგრძნობა ამ საქმეში, სასწავლებლის და ეკლესიის აღშენებაში, რომელიც აღმოაჩინეს ზოგიერთა პირთა პიროვნულთს შრომათ; ვისურვოთ ყოველთა აქ მყოფთა, რომ უფალმა ღმერთმა მისცეს ამ ხალ სასწავლებელს მტკიცე დასაბამი სიბრძნისა, სარწმუნოებისა და ამასთან სიცოცხლე, დღეგრძელობა და კეთილწარმატება. **ამინ.**

Р Ѣ Ч Ъ



Его Высокопреосвященству, Экзарху Грузин Владиміру, по освященіи имъ Дигомской Церковно-Приходской школы, 28 Сентября 1897 г. произнесенная.

*Ваше Высокопреосвященство,*

*Высокопреосвященнѣйшій Владыко!*

Позвольте мнѣ отъ лица насомыхъ высказать Тебѣ изъ глубины души вырывающееся слово. Будучи глубоко тронуты посѣщеніемъ Вашимъ какъ святаго храма нашего, гдѣ почти постоянно возносится предъ Всевышнимъ Богомъ молитва о Твоемъ здравіи,—такъ и настоящей Церковно-Приходской школы, каковая Вами нынѣ только что освящена, мы съ чувствомъ глубокаго благоговѣнія и благодарности, радуясь, благодаримъ.

Душею и сердцемъ убѣждены мы, что Ты, уподобленный свѣтильнику, поставленному на свѣщницѣ, освѣщаешь насъ благодатію Божіею, внутри тебя сокровенною.

Мы радуемся и веселимся въ сегодняшній день, въ день Вашего пріѣзда и посѣщенія нашего храма и прихода неизглаголанною радостью, потому что Ты направляешь насъ на путь правды и истины,—Ты восполняешь наши недостатки своимъ просвѣщеннымъ опытомъ, мудрымъ и разумнымъ совѣтомъ и Отческимъ наставленіемъ. Вполнѣ надѣемся и не сомнѣваемся, святой Владыко, что Ты снизойдешь къ нашимъ немощамъ

и невгодамъ житейскимъ. Радость наша по истинѣ неописана и сугуба; сугуба потому, что при Тебѣ и Табою положено начало и основаніе такому богоугоднему, благому и весьма полезному учрежденію, какъ Церковно-Приходская школа, которая составитъ для здѣшнихъ прихожанъ основу и опору нравственности, безъ которой какъ сама религія Христіанская немыслима, такъ не мыслимо просвѣщеніе, процвѣтаніе и благоденствіе народное. По истинѣ день Вашего посѣщенія для насъ, пасамыхъ Тобою, составляетъ праздникъ, и сегодняшняя радость навсегда останется незабвенною въ благодарной памяти здѣшнихъ прихожанъ.  
**АМИНЬ.**

ს ი ტ ე ვ ა,

დიდმას საეკლესიო სამრევლო სკოლის კურთხევის დღეს, 28-ს სექტემბერს 1897 წელსა.

**3**ისი გულიც ხალხის წინ სვლის და წარმეტყველებისათვის მარად სძვგრს და მონატურია, იმას არ შეიძლება დიახ სასიამოვნოდ და სასიხარულოდ არ დაურჩეს ის გარემოება, როდესაც კი მოისმენს, რომ იგი ერი შესდგომია ფრიად კეთილ სასარგებლო და საშეილიშეილო საქმის დაწყებას, რადგან ესრეთი მოვლენა განსაკუთრებით დაბალ და უვიც ხალხთა შორის იშვიათია. კეთილ-დღეობა და ბედნიერება ერისა იმაში მდგომარეობს, როდესაც მას, მოუწადინია და ელტვის წარმატებას, როდესაც მას შეუგნია რჩევა-დარიგება ან გულ-მტკივნეულის მრჩეველის, ან უცხო ვისიმე



პირის და თან თვისის სულიერის მოძღვრისა და მათგან შიტი-  
თებულს გზა-კვალს მისდევს.

თამამად, გულ ახლით და პირუთენელად შემძლიან ვსო-  
ქვა, რომ თქვენ, პატიეცემულო დიღმელებო, სკოლის დაარ-  
სების საქმეში დიდი ერთგულება გამოიჩინეთ, არ მიხედეთ ზო-  
გიერთა ბოროტ ენების რჩევას, რომელნიც სკოლის წინააღმ-  
დეგნი იყვნენ, და გულით და სულით მიიღეთ ჩემ მიერ თქვენ-  
დამი მომართული სიტყვა 2-ს მარტს ამა წლისას სკოლის და-  
არსების შესახებ და აი კიდევ განახორციელოთ.

ხშირად კაცი, როდესაც საქმეს შესდგომია, განსაკუთრე-  
ბით კეთილს და სასარგებლოს, გამოელის რა ნაყოფს, გუ-  
ლით ხარობს. ამ შემთხვევაში არა თუ ამ პირთ, სხვათაც სა-  
სიამოვნოდ მიაჩნიათ. მე მოგახსენებთ თქვენს ეხლანდელს სა-  
სიამოვნო მდგომარეობაზედ, ქეშმარიტად რომ სასიხარულო-  
ზედ. თქვენ აარსებთ სკოლას, ანუ სასწავლებელს, რომელიც  
განათლების ლამპარია, ბოროტებათა აღმომფხვრელი და კე-  
თილ გზაზედ დამყენებელი.

გიხარიათ, მართალია, და სასიხარულოდაც უნდა მიგაჩნ-  
დეთ სკოლის დაარსება, მაგრამ თქვენი სიხარული ჯერეთ  
სრული არაა. თქვენზედ უფრო მე მიხარია მომეტებულად,  
ჩემი სიხარული ორკეცია თქვენსაზედ, რადგან ჩემმა სიტყვამ  
თქვენდამი მომართულმა ნაყოფი მოიტანა, და იგი სიტყვა სა-  
ქმედ გარდაიქცა. დარწმუნებული იყავით, რომ თქვენი სიხა-  
რულიც მაღე გაორკეცდება, გაორკეცდება მაშინ, როდესაც  
თქვენი შეილები სწავლა-ცოდნას შეიძენენ ამ სკოლაში, ღე-  
თისნიერები გამოვლენ და შეეძლებათ ცხოვრებაში გამოყენე-  
ბა იმისა, რასაც აქ ისწავლიან; აი მაშინ, სწორედ მაშინ მიე-  
ცემით წინთ გამოუთქმელს სიხარულს, რადგან იგემებთ ამ  
სკოლიდგან გამოღებულის ნაყოფიდგან.

დღეს იხსნება თქვენი სკოლა კანონიერის წესით; დღეს



ედგმის საძირკველი თქვენის შეილების სწავლა-ცოდნის შედეგ-  
ნას და აი ამიტომაც საჭიროდ ვრაცხ მოკლედ აგისხნათ მნი-  
შენელობა და ღარსება ამ სკოლისა, რომელსაც ეწოდება საეკ-  
კლესიო სამრევლო სკოლა.

ღირსება ამ სკოლისა იმაში მდგომარეობს, რომ ამ სკო-  
ლაში თქვენი შეილები უპირველეს ყოვლისა განათლდებიან  
სახარების სწავლის ნათლით, გაიცნობენ ერთ ჭეშმარიტ ღმერ-  
თსა და ისწავლიან მისს ქება-დიდებას, საზოგადოთ ესრეთი,  
სკოლები იმიტომ იხსნება, რომ ბავშვებმა ისწავლონ ის, თუ  
როგორი სარწმუნოება უნდა ჰქონდეს ქრისტიანს, ისწა-  
ვლონ ის, რაც უნდა იცოდეს ყოველმა კაცმა მაგალი-  
თებრ: იცოდეს, როგორ გაჩნდა ქვეყანა და რისთვის,  
როგორ უნდა ვიცხოვროთ ამ ქვეყანად, რომ ღმერთს ვასია-  
მოენოთ, ან რა მოგველის მომავალს ცხოვრებაში. აქ ისწავ-  
ლიან თქვენი შეილები ლოცვას მეფისა და სამშობლოსათვის,  
მშობელთა და კეთილის მყოფელთათვის, ცოცხალთა და მი-  
ცვალებულთათვის; ისწავლიან უფლის მცნებათა და იმას, თუ  
როგორ უნდა იცხოვრონ ამ მცნების აღსრულებით; გაიცნო-  
ბენ საეკლესიო ღვთის მსახურებას; ისწავლიან კითხვა-გალო-  
ბას ეკლესიაში და ამათ რომ მოისმენთ, ხომ დიდათ გესიამოვ-  
ნებთ.

რადგან ჩვენ ყველა ქრისტიანთა წესათა გვაქვს მიღებუ-  
ლი, რომ ყოველი კეთილი საქმის დაწყების წინათ ღმერთს  
შევევედროთ, რომ მან ჩვენ მიერ დაწყებული საქმე კეთილათ  
წარმართოს, ამიტომაც დღეს მოვალენი ვართ ყველა აქ შეკრე-  
ბილთ შევსებოვოთ უფალს, რომ მან გარდმოავლინოს თქვენ  
შვილებზედ თავისი ზეციერი კურთხევა, მისცეს შემწეობა,  
გარდმოავლინოს მათზედ სული სიბრძნისა და მეცნიერებისა,  
გაუხსნას მათ გონება, რომ აღვიღათ შეიავისონ კეთილი და  
სულის მაცხოვრებელი სწავლა; ჩვენერგოს მათ გულში ღვთის



შიში, რომელიც სიბრძნის დასაწყისია, აერიდნენ ბოროტს და კეთილი ჰქმნან. ევედრეთ ღმერთს, რომ თქვენი შვილები აღიზარდნენ სასარგებლონი როგორც მშობლებისა და საზოგადოებისა, ისეც სამშობლოსათვის, იყვნენ მოსიყვარულენი ღვთისა, ერთგულნი ხელმწიფისა და აღმსრულებელნი ღვთის წმიდა სჯულისა. ევედრეთ ღმერთს, რომ თქვენი შვილები იყვნენ ყურადმღებელნი, მესხიერნი და გამგონენი.

ევედრეთ იმასაც, რომ მასწავლებელთაც უკეთესად და გონივრულად დააყენონ საქმე თქვენის შვილების სწავლა-აღზრდისა; მისცეს მათ უჟალმა შემწეობა ერთგულათ და სიყვარულით მოპყიდებოდნენ მეცადინეობას ამ სკოლაში. მაღლი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი სუფევდეს ამ სკოლაზედ აწ და მარადის. **ამინ.**

### შ ე ს ხ მ ა,

თქმული ახლად ნაკურთხს სამრეელო სასწავლებელში, დაარსებულს ქ. გორის საკრებულო ტაძართან, 13-ს ნოემბერს 1894 წ.



ატივცემულნო მსმენელნო! თქვენი კრება მომაგონებს იმ შემთხვევას, რომელიც ეხლა მოვისმინეთ წაკითხულის სახარებიდგან. იესო მაცხოვარს ერთ დროს კეთილმსახურთ მშობელთ მოპკვარეს ბავშვები, რომლებსაც ზოგი ხელში აეყვანათ და ზოგიც ისრე მოპყავდათ, — სთხოვდნენ მოელო ამითხედსკურთხევა. მშობელთ ესრეთი გულმხურვალე თხოვნა აუსრულდათ; მაცხოვარმა აკურთხა ბავშვები, მოეხვია და ზოგნი თავის უზრწნელის ხელით აიყვანა, რადგან დიდათ და დიდათ უყვარდა უმანკო ყრმები. უკველოა,





რომ ესრეთი კურთხევა მაცხოვრისაგან ყრმებზედ ზედგაღლენას იქონიებდა და ნაყოფსაც მოიტანდა—ალიზრდებოდნენ ბედნიერ ადამიანებად. ერთ ამ ყრმათაგანზედ—ევნატე ლმერთ შემოსილზედ, ამბობს სამღთო გარდმოცემა, რომ ეპისკოპოსის ხარისხამდე მიაღწიაო, და ისრე სიტყვას არ წარმოსთქვამდა, რომ ლმერთი არ ეხსენებინაო.

დარწმუნებულინი იყავით, როდესაც ჩვენ ვლოცულობდით, ლმერთმან თქვენი შვილებიც უხილავად აკურთხა. დარწმუნებული იყავით, რომ თქვენი შვილებიც კარგნი იქნებიან—ბედნიერებას ის სასწავლებელი მიანიჭებს, რომელშიაც ისურვეთ მათი მიცემა; აი როგორ: ეს სასწავლებელი თქვენს შვილებს ასწავლის, თუ როგორი პატივი უნდა სცენ ლმერთსა, შეიყვარონ იგი და აღასრულონ მისი ნება და თუ ამას აღასრულებენ ლმერთი დააჯილდოებს როგორც ქვეყნიერის, ისეც ზეციურის სიკეთით. სასწავლებელში ისწავლიან თქვენი შვილები მეფის პატივისცემას, მშობლებისას, უფროსებისას და იმას, თუ რა არის მშვიდობიანი და თანხმობითი ცხოვრება; სასწავლებელი ასწავლის ღვთის შიშსა; და თუ ამასაც კეთილათ დაიცვამენ, მაშინ უექველია ბოროტებას და ცუდს საქმესაც მოერიდებიან. ეხლანდელს დროში სამრევლო სკოლები უფრო იმიტომ იხსნება, რომ აქ თქვენმა შვილებმა ირწმუნონ და ისწავლონ ყოველივე ის, რაიც საჭიროა ყოველი ქრისტიანესათვის, მაგალითებრ: ისწავლონ, როგორ შექმნილა მთელი ქვეყანა და რისთვის, როგორ უნდა იცხოვროს ხალხმა ამ ქვეყანაზედ, რომ ლმერთსაც ასიამოვნოს მოყვასსაც და თავისს თავსაც; გარდა ამისა სხვა სწავლასაც გამოიტანენ ისინი ამ სკოლიდგან, რომელიც ფრიად გამოსადეგი და სასარგებლო იქნება ცხოვრებაში.

როგორც მოგეხსენებათ ამ სკოლაში მხოლოდ კეთილს, სასარგებლოს და საცხოვნებელს გაიგონებენ თქვენი შვილები;



აქ არ გაიგონებენ თავიანთ მასწავლებელთაგან არავითარნიმე ცუდს და შემაცოუნებელს. მაშ, ეცადეთ, თქვენც, მსმენელნო, რომ თქვენმა შეილებმა სახლშიაც არ გაიგონონ თქვენგანვე ცუდი შემაცოუნებელი და შეუსაბამო რაიმე, ანუ ლანძღვა-გინება ან თუ სხვა ცუდი საქციელი, რადგან ყრმათა სული და გული ადვილად შეითვისებს როგორც კარგსა, ისრეც ავსა. მარტო სკოლა ვერ აღზრდის თქვენ შეილებს ქრისტიანულად, თუ რომ მშობლები თქვენს შეილებს ცუდს მაგალითებს უჩვენებთ, რომლის გამო ღმერთიც დაგსჯით. აი ამაზედვე რას ამბობს შესანიშნავი მქადაგებელი ქრისტიანობრივ-ზნეობრივ სარწმუნოებისა, იოანე ოქროპირი: „მშობლები დაისჯებიან მირტო თავის ცოდვებისთვის კა არა, დაისჯებიან იმითმაც, თუ თავიანთ შეილებს კეთილად არ აღზრდიან“. ყოველი მეცადინეობა, ყოველი ღონის ძიება უნდა იხმაროთ, რომ როგორც სიტყვით, ისრე საქმიანაც კეთილი უჩვენოთ თქვენ შეილებს; ხშირათ უნდა ჩააგონებდეთ იმას, რომ, როგორც ეკლესიაში, ისრეც ამ სკოლაში წყნარად მოიქცენ, ერთგულად და ყურადღებით ისმენდნენ კითხვა-გალობას; ჩააგონევით, რომ ცუდს ამხანაგებს ნუ დაუმეგობრდებიან. ჩააგონეთ და თქვენვე გახსოვდეთ, რომ ღმერთი ყოველგან მყოფია, ყოველივე ესმის, ყველას ხედავს. საზოგადოთ მოარიდეთ თქვენი შეილები, როგორც უძვირფასესი თქვენნი საუნჯენი, ზნეობრივ გარყვნილებას; თუ ასრე მოიქცევით და ასრე აღზრდით თქვენს შეილებს, მაშინ არ თუ თქვენნი გამხარებელნი იქმნებიან, არამედ თვისთა მოყვასთა, მეფისა, საზოგადოებისა და სამშობლოსიცა.

მაშ შევსთხოვოთ ჩვენს შემოქმედს, გარდმოავლინოს კურთხევა და შემწეობა ჩვენ მიერ დაწყებულ კეთილ საქმეზედ ყრმათა სწავლებისაზედ, გარდმოუვლინოს მათ სული მეცნიერებისა, რომ კეთილად შეითვისონ და შეიგნონ სწავლა, განმტკიცდნენ როგორც მასწავლებელნი, ისე მოსწავლენი სწავლა-აღზრდის საქმეში. ამან,



# ს ი ტ ე ვ ა

რუსთა მიერ ქრისტიანობის მიღებიდან ცხრაასის წლის შესრულებას აუბილეს დღეს, თქმული ქ. გორში, მდინარე მტკვრის ხარზედ, 15 ივლისს 1888 წელსა.

მრავალ გვარს შუქმფინარს მნათობებს ვხედავთ ცის სამყაროზედ, რომლებიც ერთნაირის სინათლით არ ბრწყინვენ; მართლმადიდებელს ეკკლესიაშიაც მსგავსადვე ამისა ვხედავთ აურაცხელს წმიდანებს, მაგრამ ესენიც ერთნაირად არ არიან დიდებულნი ღეთის თვალში, — რომლის დამამტკიცებელ საბუთებს ეპოულობთ საღმრთო წერილში, სადაც აი რა სწერია: „სხვა დიდება არს მზისა, და სხვა დიდება არს მთოვარისა, და სხვა დიდება არს ვარსკვლავთა; ვარსკვლავი ვარსკვლავს ჰმატს დიდებითა“ (სკორ. 15. 41).

კაცობრიულს მატიაში ცხადათ სჩანს, რომ წმიდათა მამათა ცხოვრებასა და ღვაწლსა ერთნაირი მნიშვნელობა არა ჰქონდათ და არცა აქვსთ. როგორც ქვეყნიურს, ისრე ზეციურს დიდებას ისინი მიაღწევდნენ ხოლმე სხვა და სხვა გზით და საშუალებით: ზოგნი მათგანნი მიისწრაფოდნენ, მაგალითებრ, ქვაბთა და უდაბნოებში და იქ განუწყვეტელს ლოცვასა, შრომასა და ბრძოლაში სცხოვრობდნენ, აღვიდოდნენ რა უმაღლესს ზნეობის სისრულემდე. ესრეთს წმინდანებს მართლმადიდებელი ეკკლესია თითქმის მარად აღიღებს, უწოდებს „ღირსს“ მამებად მოწამენი და აღმსარებელნიც ღირსს წვალით, ტანჯვით და სისხლის ღვრით მიაღწევდნენ დიდებას. ზოგს ქრისტეს ეკკლესიაში იმისთანა აღგილებიც ეკავათ, რომ თავანწირულებით მზნობდნენ, ოღონდ ქრისტიანული ზნეობასარწმუნოება სისრულეში მოეყვანათ; ესრეთნი იყვნენ უდიდესნი მღვდელ-მთავარნი და მასწავლებელნი მართლმადიდებელ

ეკლესიაში: ვასილი დიდი, გრიგოლი ღვთის მეტყველი და  
იოანე ოქროპირი; ასეთივე იყვნენ ის უდიდესნი პირნიც,  
რომელთაც ალაშენეს უდაბნოები და დაადგინეს მათთვის კანონე-  
ბი. წმიდათა შორის იმისთანა პირნიც მოიპოვებოდნენ, რომელიც  
ეველტოდნენ სარგებლობა მოეტანათ არა თუ კერძოდ რომე-  
ლიმე ერისათვისა, არამედ საზოგადოთ ყველასათვის. ისინი პირ-  
დაპირ ასრულებდნენ ქრისტე ღმერთის მცნებას; „წარვედიო  
ქვეყანაჲ და უქადაგეთ საზარება ყოველსა დაბადებულსა (მარკ.  
16, 15.) ეს წმიდანები მოციქულთაგან დატოვებულს საქმეებს  
ავრცელებდნენ. თუმცა მოციქულებმა თავიანთ ცხოვრების  
დროს ქვეყანაზედ გაავრცელეს საზარება თითქმის მრავალს  
ძველ ხალხთა შორის, მაგრამ ზოგიერთნი ტომნი ქრისტიანო-  
ბის პირველ დროში არ იყვნენ განათლებულნი და სხვათაც  
თვისი ისტორიული ცხოვრება ძალიან გვიან იწყეს. სწორედ  
ამისთანა დროს გამოსცხადდნენ ქრისტეს ეკლესიაში ის წმი-  
დანები, რომელთა საქმე ეთანასწორება მოციქულების ღვა-  
წლთა და შრომათა; ესენი ავრცელებდნენ ქრისტიანობას  
ხსენებულ ხალხთა და ტომთა შორის, რომლისათვის ეკლეს-  
სიაც ღირსეულად აღიღებს და ათანასწორებს მათ მოციქუ-  
ლებთან.

მართლმად. ქრისტიანენო! ქრისტეს ეკლესიაში მოცი-  
ქულთა სწორის საქმეთა დიდი მნიშვნელობა აქვსთ. როდესაც  
ესენი ქრისტიანობას ავრცელებდნენ სხვა-და-სხვა წარმართთა  
შორის, ამით აფართოებდნენ ქრისტეს სამეფოს სამძღვრებსა,  
მა სამეფოში არაა, არცა წარმართი და ურია, წინადაცვეთი-  
ლება და წინადაუცვეთელობა, ბარბაროსი, სკვითელი, მონება,  
აზნაურება; არამედ ყოველად ყოველსა შინა ქრისტეა“ (კო-  
ლას. 3, 11.) ჩვენგანმა, ძმანო, არავინ უნდა გაბედოს  
და არც განიძრახოს გულში დამცირება მოციქულთა



სწორის საქმეებსა; ნურავინ იფაქრებთ, მაგალითებრ, დამცირებას მოციქულთა სწორის კოსტანტინე დიდის, საბერძნეთის და რომის განმანათლებელისას, სხვათა მოციქულთა სწორებთან და უნდა შევადარებდეთ მას იმ წმიდა ნინოსთან, რომელმაც საქართველო გაანათლა, — ერთნაირი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეთ მოციქულთა სწორის საქმეთა ყოველ ქეშმარიტ ქრისტიანეს თვალში, ამიტომ რომ იმათ შეასრულეს ის წიქი და ვალი, რომელიც მათდა მიცემულ იყო ქრისტესგან. იმათ შეწირული ჰქონდათ თავისი სიცოცხლე იმ მიზნისათვის, რომლისათვისაც არსებობს ქრისტეს ეკლესია ქვეყანაზედ, სახელდობრ იმისთვის, რომ ყველა ხალხი, — ქვეყანაზედ მცხოვრებნი, — ყოველი სული გაეხადნათ მონაწილედ ქრისტეს სასუფევლისა. ქრისტიანობაც, რასაკვირველია, არ უნდა შეადგენდეს საკუთარს სჯულს რომელიმე ერთ-ერთის ხალხისას, არამედ იმას საქვეყნო მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს და კიდევაც აქვს.

როგორც ქრისტიანულს სჯულს, ისეც ყოველ კეთილ საქმეს საზოგადო მიზანი უნდა ჰქონდეს სახეში. ეს შემდეგიდგან მტკიცდება. ერთი მეტად თვალსაჩინო, მეტად კარგი ჩვეულებაა წესათ მიღებული, რომელიც არა თუ კერძოდ რომელიმე ხალხისათვის ზნედ და ჩვეულებათ აქვს გადაქცეული, არამედ მას მთლად კაცობრიობა შესაძინებდად ასრულებს, მაგალითებრ. როდესაც რომელიმე კაცი კეთილ საქმეს შერება და განსაკუთრებით ერთ ეროვნებას ეკუთვნის, აუცილებლად მისი დაფასება ამ ერის ვალია, და თუ ამავე კაცს ჩაუდენია საქვეყნო საქმე, იგი კაცი ქვეყნისაგან ერთხმად დაფასდება; ამ ნაირი კაცია კეთილი საქმე იქმნება ქვეყნის კეთილად და ეს გამოიწვევს საზოგადოებაში სიხარულს და პატივისცემას ღრმა გრძნობას, და ჩამომავლობაც მისს სახელს და საქმეებს კეთილ-მოწიწებით მოიგონებს.

აი ესრთის მხრით უნდა უმზერდეთ იმ დიდ საქმესაც,



შესრულებულს 900 წლის წინათ წმიდა მოციქულთა სწორის  
ვლადიმერისაგან, რომელმაც იმ დროს, როდესაც რუსეთის  
ქვეყანაში კერპთ-თაყვანისმცემლობა გავრცელებული იყო,  
ხალხი თვისგანვე გაკეთებულს კერპებს თაყვანსა სცემდა,  
ქეშმარიტი ღმერთის ცნობა არა ჰქონდა, სიბნელით იყო მო-  
ცული, — ჯერ თვით მიიღო ქრისტიანობა და შემდეგ მთლად  
რუსეთსაც მიაღებინა, აღმართა მრავალ აღგილებს ეკლეს-  
სიები, ააშენა სასწავლებლები და ქრისტიანობის და ხალხის გა-  
ნათლების საქმე რიგზედ მოაწყო; გააერცელა რა ქრისტიან-  
ობა რუსეთში, ამან ამით გააფართოვა ქრისტეს სა-  
მეფოს სამძღვრები. იმის დროდგან მტკიცე და მკვადრ ნიან-  
დაგზედ დამყარდა რუსეთის ეკლესია. გავრცელებულმა ვლად-  
იმერის დროს სლავიანთა ტომთა შორის ქრისტიანობამ,  
გადასცა თავისი დაუფასებელი, თავისი ქეშმარიტი სარწმუნ-  
ოება სხვა-და-სხვა ტომთა და ერთა. ბოლოს რუსეთმა გად-  
მოაშუქა საქართველოშიაც, შეიერთა საქართველოს ეკლეს-  
სია, რომელსაც წინათვე ჰქონდა ქრისტეს სარწმუნოება მი-  
ღებული და ძმურად მასთან ერთად იწყო ცხოვრება... აი  
ამიტომაც უნდა ვმადლობდეთ უმაღლესს შემოქმედს, რომ  
მან მოუვლინა ისტორიული ცუდის ბედისწერის დროს  
რუსეთს წმიდა მოციქულთა სწორი ვლადიმერი, რომ-  
ელმაც რუსეთის ერი განათლა, სიბნელიდგან ნათელ-  
ში გამოიყვანა, ქეშმარტს ქრისტეს სარწმუნოებაზედ დააყუ-  
ნა. მაშ შევეყვდროთ წმიდა მოციქულთა სწორს ვლადიმერს,  
მეოხ გვეყოს წინაშე მაცხოვრისა, რომ მტკიცედ ვიდგეთ მო-  
მავალშიც ჩვენს მართლ-მადიდებლობითს სარწმუნოებაზედ.  
ამინ.



ს ი ტ ყ ე ა,

თქმული სოფლის უკუღმასოფლის ეოვლად წმიდა ღვთის მშობლის  
ეკკლესიის კურთხევის დღეს, გორის მაზრ. 25-ს თებერვალს  
1896 წელს.

**უ**ფალმა ღმერთმა ამ თქვენი ეკკლესიის კურთხევაში  
ლირსი გამხადა მეც მონაწილეობის მიღებისა. —  
თქვენი უგულითადესი სურვილი, რომლის აღსრუ-  
ლებაც ამ ოცის წლის წინათ განიზრახეთ, როდესაც ამ ეკ-  
კლესიის საძირკველი ჩაპყარეთ და რომლის დროსაც მეც თვით  
დავესწარი, მოვისმინე რა თქვენ მიერ აღვლენილი იმ დროს  
ლოცვა-ვედრება უფლისადმი, რომ შემწეობა და ძალა მოეცა  
თქვენთვის ამ კეთილის საქმის დასრულებაში, — ეს თქვენი  
აღნთებული გულითადი ლოცვა-ვედრება აღსრულებაში მო-  
ვიდა!... დიახ ამ შემთხვევაში თქვენ შეგიძლიათ მიეცეთ  
ღმობიერის სიხარულს, უფლისადმი მადლობის განცხადებით,  
რადგან თქვენი სურვილ-წყურვილი და ვედრება შესმენილ  
იქნა, და მაშასადამე თუ ვისმეს სხვას, განსაკუთრებით ამ ეკ-  
კლესიის მრევლთა, შეეშვენით აქოთ-ადიდოთ ღმერთი, სიხარუ-  
ლით და გაიმეოროთ ეს სიტყვები დაეიწ წინასწარმეტყველი-  
სა; „შევიყარე შეენიერება სახლისა შენისა და ადგილი სა-  
ყოფელი დიდებისა შენისა“. თქვენ ისრე შეიყვარეთ ღვთის  
სახლი, რომ მიუხედავთ იმისა, რომ არავითარიმე საშუალე-  
ბა არა გქონდათ, იყავით ღარიბ-ღატაკნი, — განიძრახეთ ეკ-  
კლესიის აღშენება. თქვენ არა გქონდათ იმ დროს არც ფუ-  
ლი, არც მასალა, არც თუ ეკკლესიის სამკაული, არა გქონ-  
დათ სახეში შემოაწირულებანი, არც ვისგანმე აღნათქვამნი.  
მთელი სიძიმე ეკკლესიის აღშენებისა იღეთ თქვენ თქვენსავე  
თავს, ერთგულათ და მზად იყავით ამ კეთილი საქმისათვის არ



დაგეშურნათ უკანასკნელი გროში, მრავალმა თქვენგანმა არა დაზოგა რა და, შეძლებისა და გვარად, შესწირა თვისი წელილი. მადლობა და დიდება უნდა შესწიროთ უფალს ღმერთსა ესრეთის მადლიანის შემწეობისათვის, — რადგან, თუ ყოველივე საქმე არ შეიძლება ღვთის შეუწყენელად მშვიდობიანათ დასრულდეს, მით უმეტეს ესრეთი ძიძიმე საქმე, როგორც ღვთის სახლის აღშენებაა, ვერ დასრულდებოდა უიშისოთ, რადგან თვით საღმრთო წერილშიაცაა მოხსენებული: „უკეთუ ღმერთმან არ აღაშენოს სახლი, ცუდათ შერებიან მასშენებელი მისნი“.

აღვამალლებ რა მადლობას ღვთისადმი იმ შემწეობისათვის რომელიც მან ამ ეკკლესიას აღშენების დროს აღმოგიჩინათ, — ამასთანავე ვიქონიოთ სჯა-საუბაროც იმაზედ, თუ რა არის სამრევლო ტაძარი, ანუ ეკკლესია მრევლთათვის და ან მრევლს რაკორი დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს მასთან.

მოისმინეთ ეს ყურადღებით არა თუ ამ ეკკლესიის მრევლთა, არამედ უცხოთაც, რომელნიც მოსულხართ ამ ეკკლესიის კურთხევის დღესასწაულზედ.

სამრევლო ეკკლესია მრევლთათვის ისრეთივეა, როგორც დედა თავის შვილებისათვის; ეკკლესია კაცისთვის ჰზრუნავს იმ წამიდგან, რა წამსაც იბადება, ჰზრუნავს როგორც მის უკანასკნელს აღმოახერამდე. ისრეც სიკვდილის შემდეგაც, კაცო ჩნდება თუ არა ქვეყანაზედ, მაშინვე მღვდლის მიერ საღმრთო მოქმედებით იწმინდება — ნათლდება წმიდა ნათლისღებით, ეძლევა ნიქი სულის წმიდისა წმიდა მირონცხებით და ამნაირათ იგი ლოცვით შერაცხილი ხდება მორწმუნეთა საზოგადოებაში.

აწინდელი ცხოვრება ჩვენ გვეძლევა იმისთვის, რომ მოვემზადნეთ მომავლის ცხოვრებისათვის. გზა, რომელზედაც ვმსვლელობთ, რომ მივალწიოთ ნეტარებას ზეცაში, არის ეკკლესიაში; აქ გვეძლევა სავსებით ღვთის სიტყვა, რომელიც





სახარებაში იკითხება, სამოციქულოში და სხვა საღმრთო წიგნებში და აგრეთვე მოძღვრის მიერ წარმოთქმული ქადაგებებში. ვინც ერთგულათ დაიარება ეკლესიაში და ყურადღებით ისმენს ღვთის სიტყვას, იმან იცის, რომ ჩვენ გვყავს ზეციერი მამა, ცისა და ქვეყნის შემომქმედი, რომ ამ ზეციერმა მამამ ისრე შეიყვარა ქვეყანა, რომ მისის ცხოვრებისათვის მხოლოდ შობილი ძე თვისი გამოგზავნა, უფალი ჩვენი იესო ქრისტე, რომ მას ტანჯვით, ჯვარზედ სიკვდილით გამოეხსნა ხალხი ცოდვის, წყევის და სიკვდილისაგან, მოუპოვა მას იესომ საუკუნო ნეტარება და განსაწმედელად და განსამტკიცებლათ კაცისა ღმერთმა ქვეყნად გარდამოავლინა სული წმიდა, რომელიც განუყრელად იმყოფება ეკლესიაში და აძლევს მორწმუნეთა სულიერს—მიმადღებულს სიცოცხლეს.

რადგან ეკლესია მოსიყვარულე და მზრუნველი დედაა თვისის მრევლისა, მაშასადამე მრევლიც მოვალეა ასრევე მოიქცეს, როგორც კეთილი, მორჩილი, შეილები ექცევიან თავიანთს დედას; კარგს შეილებს უყვართ, დედას პატივისა სცემენ, აფასებენ, დარიგებას და მისს რჩევას ყოველ შემთხვევაში აღასრულებენ.

თქვენც შეიყვარეთ ეკლესია, ერთგულათ იარეთ მასში სალოცავათ, განსაკუთრებით კვირა და უქმე დღეებში. კარგს შეილებს ყოფნა ისრე არსად ენატრებათ, როგორც თავიანთ დედ-მამასთან და თუ შეილები იშვიათად იმყოფებიან მშობლებთან, ან ემძიმებათ მათი ნახვა—მათი სახლისა, ეს იმას ნიშნავს, რომ შეილებს არ უყვართ თვისი მშობლები. ცხადია აქედგან, უყვარს თუ არა მრევლს თავისი ეკლესია, თუ იგი ძალიან იშვიათად, ან სრულებით არ დაიარება ეკლესიაში. ვინც ხშირათ და ერთგულათ დაიარება ეკლესიაში და ისმენს ლოცვა-ვედრებას, ის ცდილობს, იყოს არა თუ მშვიდი და წყნარი, არამედ იმას უყვარს ყველა ხალხი, თითქმის მტრებიც



კი, რადგან ქრისტიანული სიყვარული, როგორც თვით-მოციქული პაულე ამბობს: „არის კავშირი უსრულესი, ყოველ ქრისტიანულ ქველმოქმედებათა გვირგვინი“ — (კელ. 3, 14).

თქვენ, რომელთაც შრომაღვაწლი დასდევით, განსაკუთრებით აღმშენებელთა და კეთილის მყოფელთა ამა ეკლესიისათა, დღეს დაიმსახურეთ ხსენება წინაშე შთაბრძნობისა, რომელიც მაღლობით მოგიგონებთ. თქვენ გეკუთვნიოთ ის კურთხევა, რომელიც ღვთისაგან გადმოდის იმათზედ, რომელთაც ქვეყნითად უყვართ მშენებლობა, მორთვა—შემკობა ღვთის სახლისა. თქვენ ამ ტაძრის შენაწირავსათვის, თუ ფულით, თუ შრომით, ან სხვა რაიმე ღვაწლისათვის, უფალი ერთი ათასად გადაგიხდით, თუ აქ ამ ქვეყანად არა, მომავალს საუკუნეში მაინც, რადგან „მას უფალს უყვარს კეთილ მშენებლობითი მიმცემი“ (კორ. 9. 7) ერთი ესეც კი კმაია, რომ ვიდრე ეკლესია არსებობს ქვეყანაზედ, იგი თავისი ლოცვაში იქნება მავებრებელი აღმშენებელთა და კეთილის მყოფელთა ტაძრისა, არა თუ მათის სიციცხლის დროს, არამედ სიკვდილის შემდგეც. თქვენ, ვისაც რაიმე შეგიწირავთ ამ ეკლესიისათვის, ან მასზედ გიშრომიოთ, თუმცა თქვენი სხეულიც დაღებება, დაიხოცებაან თქვენნი შვილნი და შვილის-შვილნი, გაჰქრება ხსენებაც-კი თქვენი ქვეყანაზედ, ვიდრე ეკლესია იქნება ქვეყანად, ყოველთვის მოხსენებულნი იქნებით; მოგიხსენებთ თქვენ უფალი თავისის სასუფეველში, გადიდებთ თვისის ღვთაებრივის ძალით.

ღიას, თქვენ, შეიძლება ასრე ესთქვათ, ეხლა იგემეთ ნაყოფი თქვენის შენაწირიდგან. მე კარგად წარმოუგენილი მაქვს თქვენი სიხარული, რომელსაც ეხლა გრძნობთ, სდგებხართ რა თქვენ, თქვენს ოფლით შეძენილს—ახლად გაკეთებულს ეკლესიაში, ჰხედავთ რა მასს კურთხევას, რომელიც თქვენ



არას დროს არ გიხილავთ. თქვენ ეხლა ამ კამარის ქვეშის-  
 მენტ სიტყვას სახარებისას და მოძღვრისას, რომელსაც ამას  
 იქით მრავალგზის მოისმენთ, ამიერიდგან ყველანი თქვენ, რო-  
 გორც ყაწვილნი, ისრეც მოხუცნი ერთად აღიდებთ აქ ღვთის  
 სახელს. ქვეშარტად საღმრთო, წმიდა, შეურყეველი უნდა  
 იყოს თქვენთვის ეს შვება—სიამოვნება—სიხარული და ძვირ-  
 ფასი ის დრო, რომელსაც ასრე მოუთმენელათ ელოდებო-  
 დით. **ამინ.**

ს ი ტ ყ ე ა,

გორის მაზრის, სოფლის კასპის წმიდა თეოდორე ტირონის ეკკლე-  
 სიის, ტრაპეზის ხელმეორედ კურთხევის დროს, 9-ს ნოემბერს  
 1896 წ.



იღათ სამწუხარო და სამძიმო არის, მართლ.  
 მად. ქრისტ., სახლის პატრონისათვის, როდე-  
 საც თავისს ღარიბს და უღაზათო სახლს უკი-  
 ლურესს მდგომარეობაში ჰხედავს. ეს ყველა  
 ჩვენგანმა კარგათ იცის გამოცდილებით; მაგრამ, თუ იგი  
 ღვთის შემწეობით ილონებს მისს ხელახლად გადაკეთებას, წე-  
 სიერებაში მოიყვანს მას, მაშინ ნახავთ, მას მზიარულის სა-  
 ხით, ნახავთ, რომ მისს სიამოვნებას საზღვარი არ აქვს. აღვ-  
 სებული სიხარულით ჩვეულებრივ გულის სიღრმიდგან აღ-  
 მოსთქვამს: „დიდება შენდა უფალო, დიდება შენდა, გმად-  
 ლობ შენ ჩემო შემოქმედო, რომ მომეც შეძლება გამემშვე-  
 ნიერებინა სახლი“.

თუ რა სარგებლობა მოაქვს კარგს და ყოვლის მზრით  
 მოწყობილს სახლს, ამას განმარტება არ ესაქიროება. ბედნი-  
 ერია ის კაცი, რომელიც ჰზრუნვას და შეცადინებობას არა  
 ჰზოგავს არა თუ თავის სახლზედ, მისს მორთვა-გამშენიერე-

ბაზედ, არამედ თვით ეკკლესიაზედაც-კი. ძვირად აფასებს ჩვენნი შემოქმედნი იმ შრომას, რომელსაც სწევს კაცი არა თუ ეკკლესიის აღშენებაზედ, მის გაფართოებაზედ, არამედ მისს გამშვენიერებაზედ, თუ რომ ამ შრომას რაიმე ინტერესი, ანუ ანგაარებითი გარემოება არ უდევს სარჩულათ. ღვთის სახლის გამშვენიერება წმიდა და ღვთის სასიამოვნო საქმე არის. რომ მართლ მადიდებელი ეკკლესია დიდათ აფასებს ესრეთს შრომას და მსხვერპლსა, ცხადათა სჩანს იქილგან, რომ ყოველ ღვთის მსახურების დროს იხსენება ეკკლესიის მხრით არა თუ აღმშენებელი ეკკლესიისა, არამედ კეთილის მყოფელნი მისნი და გამამშვენიებულნიცა — და გარდა ამისა ეკკლესია ასრე ევედრება ყოველს წირვის გამოსვლის დროს უფალსა; „უფალო წმიდა ჰქვენ მოგვარენი სახლისა შენისა შევნიერებისანი.ა“; ეს იმას ნიშნაეს, რომ ვისაც უყვარს ეკკლესიის გამშვენიერება, წმიდათ გახადევი, წილი მიეცი წმიდანებს შორისო. დიახ სასიამოვნო და დიახ ძვირფასი ვედრებაა ესრეთი ვედრება ეკკლესიისა. რომ თვით უძველესს დროს, ქრისტიანობის ჩაოდენი-მე ასის წლის წინათაც სცხოვრებდნენ ისრეთი წარჩინებულნი პირნი, რომელნიც ეკკლესიის გამშვენიერებას დიდს ყურადღებას აქცევდნენ. ეს ცხადათა სჩანს წმიდა მეფე და წინასწარმეტყველის დავითის სიტყვებიდგან. ის ამბობს: „უფალო! შევეყვარე შევნიერება სახლისა შენისა და ადგილი საყოფელი დიდებისა შენისა“ (ფსალ. 52, 8).

ამ სიტყვების განმეორება შექმენის იმ პირთ, რომელთაც მოისურვეს დღეს ამ ეკკლესიის გაბრწყინვალება-გამშვენიერება, — შექმენის განსაკუთრებით ბრწყინვალე თავადს დიმიტრი ივანეს ძეს ამილახვარს და ქვრივს მარიამ ხორბალაძისას. შრომა ამილახვრისა იმაში მდგომარეობს, რომ მან ცხადათ დაინაზა თვალსაჩინო ნაკლულევენება ამ ეკკლესიისა, რომელსაც დღევანდლამდე არაეინ მიაქცია ყურადღება. საშინელი



ნოტიო და ბნელი ეკკლესია უნებლიეთ სასოებას უკარგავდა კაცს ლოცვისა და ეედრებისადმი წინაშე ღვთისა. ეს ნაკლი შეუფესო თავ. ამილახვარმა და აი ღღეს ეხედავთ ეკკლესიას გაფართოებულს და სინათლით სავსეს, რომელზედაც საკმაო შრომა და წარსაგებელი დახარჯა ამ თავადმა, და მასთან ქვრივმა ხორბალაძისამაც. \*) სიფართოებ, სინათლემ და სხვათა გარემოებათა: ეკკლესიისა იატაკის მაღლა აწევამ, დაისაქიროვის ტრაპეზის ხელახლად კურთხევაც, რომელზედაც ჩვენ უღარსთა სამღვდლო პირთ საღმრთო მოქმედების აღსრულების გამო გადმოვიდა მაღლი სულის წმიდისა, და რომლის წინაშე თქვენ ეხლა სდგებართ, მართლმადიდებელნო ქრისტეანეო! მე არ ვიცი, თუ ვან თქვენგან, რა გრძნობით გამოსცხადდა აქ, ამ სამლო მოქმედების აღსრულების დროს, მაგრამ ჩემის მხრით-კი მღვდლობის მოვალეობის გამო მსურს, რომ თქვენმა აქ ყოფნამ სულიერი სარგებლობა მოგიტანოთ და ნანახი თქვენგან არ დარჩეს შეუმჩნეველად და უსარგებლოდ.

რა უნდა გითხრათ, პატივცემულნო მსმენელნო, თქვენის სულის სასარგებლო და ან რა სამოძღვრებული სიტყვით მოგმართოთ ამ შემთხვევაში? ჰხედავთ რა ხელახლად ეკკლესიის და ტრაპეზის განახლებას, თქვენც უნდა ეცადნეთ თქვენის სულის განახლებას, რომ ვაამშვენიერეთ თქვენი ხელთქმული ტაძარი, არ უნდა დაივიწყოთ სხვა ტაძარიც, უზილავი—სულიერი, ეს ტაძარი არის თქვენი სული. საღმრთო წერილი გეუბნებათ; „თქვენ ხართ ეკკლესიანი ღვთისა ცხოველისაო“ (2 კორ. 3, 16) მართლაც, ყოველი ქრისტიანი, რომელიც წმიდა საიდუმლოს—ქრისტეს სისჯლს და ხორცს იღებს, ტაძარია ღვთისა ცხოველისა; მაშასადამე ვალდებ-

\*) ორის წლის წინათ შესძინა ამ ეკკლესიას 75 მ. სამკაული, ეხლანდელს გამშვენიერებაზედ შემოიტანა (100 მ.) ასი მანეთი.



ბულნი ხართ გამშვენიეროთ თქვენი სული ქველმოქმედებით, სცხოვრებთ რა ამ ქვეყნად, არ უნდა სცდებოდეთ აწინდელის ცხოვრების მიხედვით, არ უნდა სცდებოდეთ ქვეყნიურის მეტის-მეტის სიამოვნებით, რომელიც უკვდავის სულის მოთხოვნილებას არ აკმაყოფილებს. გახსოვდეთ ის, რომ აღრე თუ გვიან უნდა დასტოვოთ სააქაო ცხოვრება, გადახვიდეთ იმ ქვეყნად, საიქიო ცხოვრებაში, რომ თქვენი სამშობლო ზეცაა, რომ თქვენ ხართ მოგზაური. ვინც ივიწყებს ამას და სცხოვრებს მხოლოდ აწინდელის ცხოვრებით, ის თავის სულს ჰლუპავს, თავის თავს უმზადებს საუკუნო ტანჯვათა. ვინც ჩნუბსა და უთანხმოებაში ატარებს ცხოვრებას. ვისაც სძულს მოყვასი, მოშურნეა, ვისაც მეზობლისთვის ბოროტება სურს, უხარის სხვის უბედურება, ვნებას აძლევს, ვინც მიჩვეულია სხვათა—კილეა-ძრახვასა, ცალის წამებას, ვინც სხვებს სასტიკათ ეპყრობა, ის იწყრომებს შემოქმედს. ვინც გარყვნილებაში ატარებს ცხოვრებას, ის ხდება უღირსი ღეთის წყალობისა; ვინც არ მარხულობს, არ ეზიარება წმიდათა საიდუმლოთა, არ დადის კვირა-უქმე ღღეს ეკკლესიაში, ის სკოდავს. ესრეთ მომქმედი კაცისა სული დაღუპულია. ეცადენით, იქონიოთ მტკიცე სარწმუნოება მამა ღმერთისა, მხოლოდ შობილის მის ძისა და სულის წმიდისა. ეცადეთ იქონიოთ მუდმივი სინანული, მუდმივი ლოცვითი ოხვრა, განუწყვეტელი მღვიძარება თავის თავზედ, სიწმიდე აზრისა და გრძნობებისა. მიჰბაძეთ ღვთაებრივის ჩეცნის მხსნელის იესო ქრისტეს ცხოვრების სახეს, ესე იგი, ეცადენით ქველმოქმედებით, ცხოვრებით თქვენის სულის გამშვენიერებას.

ვევედროთ უფალსა ღმერთსა ამ ტაძარში, რომ იგი ტაძარი დაცულ იქმნას შეურყვევლად, არ მოაკლოს მას მადლი და სიწმიდე თვისი, ვევედროთ იმასაც, რომ მოგვანიჭოს უფალმა ღმერთმა ძალა წმიდად და პატიოსნად ცხოვრებისა;



გული წმიდა დაბადოს ჩვენ შორის და სული წრფელი გან-  
გვიახლოს გვამსა ჩვენსა, რომ გავხდეთ მისს ღირსეულ სად-  
გურათ.—**ამინ.**

ს ი ტ ყ ე ა,

თქმული ს. მეჯვრისევეს, გორის მაზრ., კარდაცვალებსა ზედა აზნ.  
ღავით ლავრენტის ძის შურულისა, 16 იანვარს 1897 წ.

**უ**ღრმესი და გამოუთქმელი მწუხარება გულს გვი-  
ხუთავს, ვხედავთ რა ჩვენ წინ მღებარე მიცვალე-  
ბულს, ჯერეთ ნორჩს და ახალგაზდას, ჯერეთ ამ  
სოფლის ცხოვრებათ დაუმტკბარს, სიყმაწვილის წლებში აღ-  
სრულებულს დაეითს, მწოლარეს ცივს კუბოში, ენა დაღუ-  
მებულს, ყძრავს და მთლად გაციებულს. აგერ ჯერაც თვე  
არ გასულა მას შემდეგ, რაც იგი დაეითი მიწვევდა მე, რო-  
გორც ნათესავს, მაწვევდა საყვარელის მამის, მღელღის ლავ-  
რენტის განსვენებაზედ, რადგან მშობელი ავად ჰყავდა მიწ-  
ვევდა უკანასკნელს ვალის გარდასახდელად და შესაფერის  
ცრემლის დასაღერელად. მაგრამ დახეთ ღვთის განგებას,  
როგორც თვით დაეითმა ვერ მოასწრო, ვერ გაღუხადა უეჭვე-  
ლი და პირუთენელი შვილებრივი ვალი, ვერ მოასწრო დაე-  
ტარნა მშობელი მამა\*), ისრეც, მეც მოვაკლდი შემთხვევი-  
საგამო უკანასკნელის მასთან გამოსალმების ცრემლებს. მაგრამ  
ესრეთს ცრემლებს, გულის სიღრმიდგან აღმონაჩქებს დღეს  
არ დავიშურებ, ძმაო დავით, შენს გაციებულს ცხედარზედ

\*) მამა მისი მღ. ლავრენტი, როდესაც საზლიდგან გამოასვენეს და-  
სასაულავებლად ძე მისი დაეითი, პირქვე დაეცა და გულ-წასული საზლ-  
ში შეიყვანეს. ერთი თვის შემდეგ გარდაიცვალა იგიც.



მაგრამ ამ ცრემლების დაღვრის დროს, მე არ შემიძლიან ორიოდე სიტყვა არ წარმოვსთქვა, რადგან ეს სიტყვები შეერთდებიან რა ცრემლებთან, გულიღგან არიან აღმოსუღნი,—და აი მთელს გულსაც გადაგიშლი, გაჩვენებ, რაც მასზედ სწერია; არ მეშიშვის არაეისი სინამღვილის თქმისათვის—სისწორის და სიმართლისათვის დაე ვიყო დევნული, ოღონდ-კი შენმა სულმა იგრძნოს ავკარგიანობა ამ ქვეყნის უკუღმართათ ბრუნვისა.

არა ვსცდები იმაში, პატ. მსმ., რომ კაცი ამ ქვეყნად ძალიან ხშირად და მოუღოდნელად—უნებლიეთ, ესალმება ხოღმე წუთისოფელს. უბრალო და უღანაშაულო, მცირე რაიმე შემთხვევის გამო იგი ეძღევა გულის წუხიღს, ფიქრობს მომავღს სვე-ბედზედ, და აი ეს მწარე ფიქრები ნელ-ნელა ებარება, უღდება ძვალ-რბიღში, ნელ-ნელა სისხღი უშრება, გადაღის სისნეულედ და ზოგს მალეც უსწრაფდება ხოღმე სიკოცხღე. არაეითარს შრომას და საშუაღებას ავთმყოფის გამოსაბრუნებღად აღარ აქვს გავღენა ამ შემთხვევაში.

იქნება შენც, ძჰაო დავით, იგემე უღროოდ წყენა-შეიწროება, შეწუხებულ იქმენ ვისგანმე უსამართლოდ, სხვათა და სხვათა გარემოებათა გამო ამ ცხოვრების ტაღღების მოუსვენრობით, ანგარებისა და თუ სხვა ბოროტების გამო?!...

განა საღ არაა უსამართღობა!... თვით ეს ჩენი ცრუ სოფელი, საღაც ღროებით ვსცხოვრებთ, ბოროტებათაა გადაქცეული. რათ არ უნღა ეიცოღდეთ, რათ არ უნღა ვიყვენთ ღარწმუნებულნი, რომ უცხო მტერი არაა ისრე მავნებელი—მკვღელი, როგორც შინაური; საშიში მტერი და გამანაღგურებელი, მიწასთან გამასწორებელი შინაურია, სისხღ-ხოროცით მახღობელი ნათესავი. მაგრამ ესეცა მართაღია, რომ ხშირათ ამგვარი უსამართღობა სასარგებლოცაა ხოღმე, ისრე





ამ ქვეყნად არა, როგორც მომავალს ცხოვრებაში, რომლის-  
სკენაც უკვე განმზადებულხარ.

გარწმუნებ, ძმაო დავით, როგორც ჩემს უმცროსს ძმას, რომ  
თუ ეს ჩემი აღმონათქვამი შენს ცხოვრებას შეეხება, შემცდა-  
რი ხარ, როგორც კაცი ხორცთა შინა მყოფი, რადგან ამ  
შემთხვევაში თუ ნაღველმა გძლია, თუ სიმწარემ და მკმუნვა-  
რებამ მოიცივა შენი თავი—უსამართლობის გამო,—გემართა  
ღრმათ და დიდათ დაფიქრება, რადგან შენის მხრით და შენ  
გამო მოსპობილ იქმნა ცხოვრება განა თუ მარტოდ შენის  
კოლშვილისა? არა, დიდათ მცშრომე—მოღვაწე შენის დე-  
დის და დებისაც! მას, შენ დედას, ცეცხლის ალი გაუ-  
ქრობელი და აღგზნებული გულიდგან აღარ მოშორდება სი-  
კვდილამდე; შენს საბრალო დებს და კოლშვილთა დიდხანს  
ეხსომებით და არც თუ მათ გაუნელდებათ მსგავსივე ცეცხლი.  
ამ შემთხვევაში, არ შეიძლება ზოგიერთმა აქ მყოფმა არ  
ვაივლოს ეს გულში: „მიწა გრილიაო, დაივიწყებენო“.   
მაგრამ მე ამის წინააღმდეგი ვარ, ვარ იმიტომ, რომ  
ერთხელ დაჩნეული კვალი კაცის სულზე და გულზედ, შეიწ-  
როება უსამართლობისგან გავლელბული, დიდხანს რჩება კაცთა  
ხსოვნაში.

ეხედავ რა დაობლებულთა, მწუხარებაში და ურვაში ჩა-  
ცვინულთ დიდათ შესაბრალოს შენს სახლობას, მსურს გან-  
ვაგრძო საუბარი. თვისს ლუზას, ერთად ერთს ნუგეშს, ერთად  
ერთ იმედს სააქაო ცხოვრებაში, გხედვენ რა მოსპობილს,  
განა რითლა უნდა ინუგეშონ დაობლებულთა მშობელთა,  
კოლმა და შვილმა?...

ვერ წარმომიდგენია ეს დანაკლისი, რასაც შენი უბედური ღედა, დები და უმანკო ცოლ-შეილი ჰკარგავს. განა რითა უნდა ინუგეშონ ამ უბედურთა! ჭეშმარიტად, რომ ესრეთი მათი მწუხარება გულის ცეცხლმომკიდებელია, უნუგეშოა. ამ ნაირს მდგომარეობაში მყოფთა, არავითარიმე სიტყვა და ნუგეში აღარას არგებენ, ესრეთ შემთხვევაში უბედურთა მანუგეშებელი იშვიათია; ერთად ერთი იმედი და ნუგეში მხოლოდ ღმერთია, შემოქმედი, მხანელი და დამბადებელი ჩვენი. იგი იმიტომაა იმედი, რომ უიმისნებოთ, როგორც ვიცით, თმანიც-კი არ ჩამოგვცვივა. მაშ სად უნდა ვეძიებდეთ მიზეზს იმისას, რომ დავითი, ერთად ერთი ძე მშობლების, წყნარი, მშვიდი, უშფოთველი, ასრე უღროოდ გამოეთხოვა წუთისოფელს, გამოეთხოვა დაობლებულთა ხუთ სულს, უპატრონოთ დატოვებულთა, რომელთათვის ენით გამოუთქმელს საჭიროებას შეადგენდა? ამის გამოცნობა ჩვენ თავით თვისით არ შეგვიძლიან, მაგრამ შეიძლება კი გერწამდეს, რომ ღმერთსა ამაზედ განსაკუთრებულნი ჩვენდა უცნობნი მიზეზები ჰქონდეს, მიზეზები კეთილნი, მაცხოვრებელნი და კეთილ საყოფელნი. უფალს ღმერთს ყოველი კეთილი სურს ჩვენთვის და ისრეთს ბოროტებას არ მოგვაპყრობს, რომ აქედგან რაიმე განსაკუთრებითი კეთილი არ დაიბადოს.

მაშ დაობლებულნო! ესრეთ თქვენს გამოუთქმელის, ენით აუწერელის მწუხარების დროს, გმართებთ მიჰმართოთ ყოველად სახიერს და მოწყალე ღმერთსა, რომელიც არ დატოვებთ უმწივოთ. მას მიჰმართეთ და დამშვიდდებით. აბა მოვიგონოთ სიტყვები წმ. დავით წინასწარმეტყველისა, რომელიც აი რას ამბობს: „ურმა ვიყავ და დაგებრდიცა, და არა ვიხილე მართალი დაკლებულ, არცა თესლი მისი მთხფენულ ჰურისა“. უფალი შექმნა ქვრივთა და ობოლთა, მათი სასოება და იმედია იგი. მართლაც არაა იმისთანა სიბნელიე, რომელიც არა ჰქრებოდეს მზის



სინათლით, არცაა მწუხარება, რომელიც ღვთის სახელის მოგონებით და ფიქრის შემდეგ არ მოისპოს.

ესრეთ ვანუგეშოთ რა ჩვენი თავი, მივსცეთ უკანასკნელი ვალი, პატვ. მსმ., მიცვალებულს დავითს, გლოვითა და ტირილით კი არა, არამედ სასოებით და მალლობით ღვთისადმი. უკანასკნელი ვალი ჩვენის მხრით იმაში კი არ უნდა მდგომარეობდეს, რომ უნუგეშოთ ვსტიროდეთ, არამედ იმაში, რომ ერთგულათ ვლოცულობდეთ მიცვალებულის სულის განსვენებისათვის, აქ ცრემლები კი არაა საჭირო, არამედ ვედრება წინაშე მეუფისა. მართალია კაცის ბუნება ისრეთია, რომ გულითადი მწუხარება უნებლიეთ გამოიწვევს ხალმე ცრემლთა და ოხერათა, მაგრამ, ვგლოვობთ რა და ვსტირით, ამავე დროს უნდა ვლოცულობდეთ; ცრემლიანი ლოცვა მწუხარების სურვილის მომკვლელია და სულსაც ამსუბუქებს.

სიცოცხლით დაუმტკბარო დავით! მშვიდობა შენს მტევრს; მოგცეს ღმერთმა ბედნიერი წილი სასუფეველში. საუკუნოდ იყოს ხსენება და კურთხევა შენი. **ამინ.**

---

ს ი ტ უ ვ ა, \*)

თქმული ახლად მონათლულის ურიისადმი, 18-ს ოქტომბერს 1890  
წელს, ქ. გორში.

ახლად მონათლულო ძმაო იოანნე!

მოგილოცავ საიდუმლო ნათლისღების მიღებას; ბედნიერი ხარ შენ ახლად მონათლულო იოანნე, რომ დაუტე-

---

\*) ეს სიტყვა დაბეჭდილია „მწყემსის“ 21 პლ-ში 1890 წელს.



ვე ებრაული სარწმუნოება და მიიღე ქრისტიანობა, ბედნიერი ხარ იმიტომ, რომ დღეს ემბაზში წმიდა ნათლისღებით შენ ახლად დაიბადე სულიერ ცხოვრებისათვის: შენ განიბანე და განიწმიდე მამა-პაპათა და შენ მიერ ჩადენილ ცოდვებისაგან; საიდუმლო მირონცხებით მოგენიქა შენ წადლი სულისა წმიდისა. მაშ, გახსოვდეს მარად, ძმაო იოანე, და ნუ დაივიწყებ ამ ღვთის ნიქთა, რომელნიც შენ დღეს გარდმოგეცა. მტკიცედ გახსოვდეს ის აღთქმანი, რომელნიც შენ მიეცი წინათ მონათელისა და ეცადე ისრე მოიქცე, როგორც შეშვენის ქეშმარიტ ქრისტიანეს; მადლობდუ უფალსა ღმერთსა, რომელმაც გამოგიყვანა შენ ბნელისაგან და მოგანიქა ნათელი ქრისტეს სარწმუნოებისა. ამიერიდგან შენ ატარებ ქრისტიანულს სახელს, ამიერიდგან გახდები მემკვიდრე ზეციური სასუფეველისა; ამიერიდგან ვალდებული ხარ იწყო ახალი ცხოვრება. მოვალე ხარ დაუტეო შეუსაბამო საქციელი, ისრეთი, რაიცა არ შეფერის ნამდვილს და ქეშმარიტს ქრისტიანს და მარად უნდა მისდევდე სახარების მცნებას; წინააღმდეგ შემთხვევაში მარტო ქრისტიანული სახელი არ გიშველის, უკეთუ შესაბამს ქრისტიანულს საქმეს არ მოიქმედებ; მაშინ უფრო პასუხის გებაში მიეცემი.

რადგან დღეს შენ გახდი ქრისტიანი, მაშ უშთაერესად და უპირველესად უნდა დაიკვა სიყვარული მახლობელთა. მტერნიც-კი უნდა გიყვარდეს ისრე, როგორც შენი თავი და მათთვისაც ლოცვილობდუ და არავის ბოროტისათვის ბოროტით არ უნდა გადუხადო. ეს უშთაერესი მცნება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი—განსხვავებული და შესანიშნავია. გარდა ამისა შენ ვალდებული ხარ იყო ერთგული და მორჩილი შვილი ეკლესიისა, სიყვარულით და ერთგულებით უნდა აღასრულებდუ ეკლესიურს წესებს და სჯულს. რომ კარგათ შეისწავლო ეკლესიური წესები, საჭიროა კვირა-უქმე დღეებში იარო ეკლესიაში. თუ რომ კეთილ-კრძალულად და



ყორადღებით იდგები ტაძარში, მაშინ ადვილად და ჩქარათაღ შეგიძლიან შეისწავლო ყოველივე ის, რაც საჭიროა სულის ცხოვებისათვის იმ ქვეყნად და სააქაო ცხოვრებაში კეთილად ცხოვრებისათვის. ეკკლესიაში შენ ჰპოვებ: მწუხარებაში ნუგეშინის ცემას, შენგან ჩადენილ ცოდვების—მოტყევებას. ამასთანავე ეცადე გახდე პატიოსანი, სარწმუნო და სასარგებლო მამულისშვილი, აღმასრულებელი ხელმწიფის დადგენილებათა და განკარგულებათა. თუ ასრე მოიქცევი, მაშინ შენ შეიქმნები ჩვენს საზოგადოებაში საქები, მამულისთვის სასარგებლო და უფლისაგანაც მიიღებ საუკუნო და ნეტარ ცხოვრებას.

და ბოლოს თქვენც მოგმართავთ, ყოვლად პატიოსანო მიმრქმელო, სიტყვით: ეს ნათელღებული იოანნე ეკკლესიამ ჩაგაბარათ თქვენ, რათა ასწავლოთ, განამტკიცოთ და მისი ხელმძღვანელი იყოთ ქრისტიანულს სარწმუნოებაში. ეს არის უმთავრესი დანიშნულება და ვალდებულება მიმქმელისა. ამიტომაც შეძლებისა და გვარად, ნუ უარპყოფთ იმის აღსრულებას, რაც იკისრეთ მოვალეობად. ჩაუნერგეთ ახლად მონათლულს უმაღლესნი ქეშმარიტებანი ქრისტეს სარწმუნოებისა. თქვენ უნდა იყოთ ხელმძღვანელი, მასწავლებელი და დამყენებელი მისი კეთილ გზაზედ, იმიტომ რომ გახდით მისი თავდები წინაშე ეკკლესიისა; მაშ ეცადეთ, რომ იგი აღარ დაუბრუნდეს წინანდელს გზას და არ გახდეს მსხვერპლი საუკუნო ტანჯვისა. თუ ამას აღასრულებთ, მაშინ ადვილათ შეგეძლებათ კადნიერათ სთქვათ საშინელი განსჯის დროს წინაშე ქრისტე მეუფისა: „აჰა ჩვენ და ეს შვილიც, რომელიც შენ მოგვეც ჩვენ“. ამინ.

## შ ე ს ხ მ ა

ახლად ქარწინებულთაღმი.

მოგილოცავთ, ახლად შეუღელოილონო, მადლის მიღებას, იმ მადლისას, რომელმაც ორი პირი შეგაერთათ ცოლქმრულის კავშირით. მე გამოცნობილი და წარმოდგენილიცა მაქვს ის ფიქრი და აზრი, რომელსაც თქვენ ამ წამს მისცემიხართ; თქვენი გულითადი სურვილი და ლტოლვილება იმაში მდგომარეობს, რომ დღეიდგან თქვენი კავშირი იყოს ბედნიერი და გაუყრელი მრთელ თქვენს სიცოცხლეში. თუ რომ გინდათ ბედნიერათ გაატაროთ თქვენი ცხოვრება, მაშ ადასრულეთ ის ვალდებულება, რომელიც თქვენ დაგეტყირთათ; დაიცევით ურთიერთის სიყვარული და თანხმობა, ისრე როგორც ერთი სული ორ ხორცში მყოფი, უმეტეს დაიცევით სიყვარული ღეთისადმი, იქონიეთ პატივისცემა მის წმიდა სჯულისა, ამიტომ რომ „ღმერთი არის სიყვარული და მყოფი სიყვარულში, სიყვარული ღმერთში იმყოფება და ღმერთი მას შინა“ (იოან I ეპისტოლე 4. 16.) სადაც არაა სიყვარული ღეთისა და შიში, იქ მარად უთანხმოება სუფევს და უბედურება. წმინდათ უნდა დაიცვათ ურთიერთი სადმი რწმენა. ცხოვრებაში არ უნდა იყვნეთ ზარმაცნი, არამედ მეცადინენი და შრომის მოყვარენი; ერთმანერთს შრომას უნდა უმსუბუქებდეთ. უერთიერთმანეთოდ, არა ვითარიმე საქმეს არ უნდა შეუდგეთ. იმიტომ გეწოდებათ თქვენ დღეიდგან მეუღლენი, რომ ცხოვრების უღელი ერთნაირათ უნდა სწიოთ.

როდესაც ღმერთი გაკურთხებთ თქვენ შევილიერებით, თქვენი უპირველესი ვალდებულება იმაში უნდა მდგომარეობ-



დეს, რომ თქვენს შვილებს კეთილი და ქრისტიანული აღზრდა მისცეთ. უნდა აღბეჭდოთ მათს გულში ღვთის შიში, ჩააგონოთ პატივისცემა სჯულისა, რომ ისინი იყვნენ პატიოსანნი, შრომის მოყვარენი, მოარიდოთ სიცრუეს, დაიკვათ ისინი ცუდის ყოფაქცევისაგან, და მაშასადამე თქვენც უნდა ეცადოთ თქვენის ყოფაქცევით იმათ დაუმტკიცოთ ის, რასაც სიტყვით ეტყვიით.

შენ, პატიოსანო მეუღლე, შეიყვარე ცოლი თვისი ისრე, როგორც ხორცი თვისი, იყავ შემბრალებელი და კეთილის მყოფელი მისი; შენ პატიოსანო მეუღლე, პატივ ეც შენს ქმარს, როგორც შენს თავს. უკეთუ ესრეთის სახით გაატარებთ თქვენს ცხოვრებას და დაიკვავთ წმინდათ ცოლქმრობითს საიდუმლოებას, მაშინ დაიმკვიდრებთ ნიქთა ღვთის მოწყალებისათა— იცხოვრებთ მშვიდობით, ღღეგრძელათ და კეთილდღეობით.

გულით და სულით გისურვებთ ყოველს კეთილს, მოუწოდებ თქვენზედ უფლის კურთხევას. აწ და უკუნისამდე იყოს იგი თქვენს შემწე და მფარველი. **ამინ.**

1891 წ.

## Р Ѣ Ч Ъ,

*произнесенная 14 мая 1896 г. въ Горійскомъ Успенскомъ соборѣ, по случаю Коронаціи ихъ Императорскихъ Величествъ, Государя Императора Николая II и Императрицы Александры Теодоровны.*

**С**овершилось радостнѣйшее событіе для всѣхъ русско поданныхъ: законный Государь Россіи возложилъ на себя царскую корону, изъ сотни миллионѣвъ сердецъ, полныхъ радости, изливаются пламеннѣйшія мо-

литвы о здравіи и благоденствіи Благочестивѣйшаго Русскаго Государя Николая II-го. Молитвы эти, какъ плодъ любящихъ сердецъ, возносятся къ престолу Всевышняго, который поставляетъ царей и сулитъ нашему православному дорогому Государю долгоденствіе, крѣпость и силу. Радуется и молится и православная Грузія, удѣль Божіей матери, являющаяся драгоцѣнной жемчужиною въ Русской царской коронѣ. Подъ мощнымъ покровомъ Государя Россіи она, послѣ многихъ несчастій, бѣдствій и страданій въ неравной борьбѣ со врагами креста, наслаждается плодами мирной гражданской жизни. Моря Каспійское и Черное и ихъ бушующія волны, по словамъ грузинскаго поэта Н. Бараташвили, болѣе не устрашаютъ Грузію, ибо по нимъ уже не путешествуютъ злѣйшіе ея враги; высокія горы Кавказа, покрытыя вѣчнымъ снѣгомъ, не даютъ болѣе приюта кровожаднымъ и хищнымъ врагамъ христіанства и Иверіи. Тамъ, гдѣ мечемъ и силою владѣлъ грузинъ, правитъ нынѣ мирная рука гражданина. Съ Востока и Запада, съ Юга и Сѣвера Грузія болѣе не ждетъ непріятлей, не ждетъ ужасной рѣзни, опустошенія и порабощенія. Не трепещетъ она за свое существованіе, и счастливая усердно молится о русскомъ Государѣ, покровителѣ и защитникѣ своемъ. Каждый грузинъ, движимый чувствомъ любви къ Государю Россіи, готовъ положить душу свою за него, готовъ пролить кровь свою за счастье и процвѣтаніе дорогой Россіи, общаго Русскимъ и Грузинамъ отечества, помнить твердо, что Онъ есть недремлющее око, которому извѣстны всѣ нужды царства, всѣ движенія обще-



ственной жизни, что отъ Него одного исходятъ силы и благоденствіе царства, такъ равно правда и милость. *Аминь.*

### საუბარი სამწყვოსთან

მომეტკებული სასმელების (ღვინის, არაუის და სხვ.) ხმარების მავნებლობაზედ. \*)

ღოთუბი ვერ დაიმკვიდრებენ სასუფეველსა ღვთისსა (გალატ. 5, 21) ძველის აღთქმის მოთხოვნებიდგან ცხადათა სჩანს, რომ ღვინო არის თითქმის უსაჭიროესი სასმელი, რომელსაც მრავალნი ხალხნი სვამდნენ. თვით ნოემ შემდეგ წარღვნისა დარგო ვაზი; მოამზადა ღვინო და სმიდა: „და იწო ნოე კანთან საქმედ ქვეყანისა და დასსა ვენახი, და სვა ღვინო მისგან და დაითრო და განშიშველდა სახლსა შინა თვისსა (9 თავ. მუხ. 21, 22 შესაქმ.) რომ ღვინო არის სასარგებლო, ადამიანის ბუნებისათვის, ამას ამტკიცებს დავით წინასწარმეტყველი, რომელიც ფსალმუნთა წერილში ამბობს: ზური და ღვინო ახარებს გულსა კაცისასო... ესევე სჩანს ახალის აღთქმიდანაც, როდესაც იესო ქრისტე იმყოფებოდა ქვეყანაზედ, ერთხელ ქორწილში მიიპატივეს თავის დედა მარიამითურთ. ღვინო რომ შემოაკლდათ, ქრისტემ წყალი ღვინოთ გადააქცია; მეორედ კიდევ საიდუმლო სერობაზედ ქრისტე თავისს მოციქულებით ღვინოს სვამდა და სხვათა შორის წარმოსთქვა: „სვთ ამისგან უაველთ“... მოციქული პავლე სწერს ტიმოთეს: „ამიერიდგან მარტო წყალს ნუ სვამთ, ცოტადენი ღვინოც იხმარეთ,

\*) ეს საუბარი დაბეჭდილია „მწყემსის“ მე-24 №-ში 1887 წ.



რადგან ჯანმრთელი არა ხარ და შენი სტომაქისათვის სასარგებლოა.  
(ტიმ. 5, 31).

როგორც ჰხედავთ, ძმანო ქრისტიანენო, ღვინო თითქოს საჭირო სასმელი ყოფილა ადამიანისათვის. ღვინო მიღებულთა ზომიერად და თავისს დროზედ მარგებელია არა თუ ჯანმრთელი კაცისათვის, არამედ ავადმყოფთათვისაცკი: თვით მკურნალებიც ურჩევენ ავადმყოფებს ღვინის სმას.—რისთვის? და იმისთვის, რათა ყუათი და ღონე მიეცეთ. ღვინო აძლევს კაცს ძალას, სიფხიზლეს, სიმზიარულეს.

ამის და მიუხედავად მომეტებულ მის ხმარებას უზომოთ და უღროვოდ, რასაც ჩვენ, ქართველები ვეძახით წრეს გადასვლას, „ლოთობას“,—ისეთი ვნება და ცუდი შედეგი აქვს, რომ ამით შეიძლება არა ერთი სახლობა, არამედ საზოგადოება, მრთელი მხარე დაიღუპოს. დამტკიცებულია საზოგადოდ, რომ ეინც მომეტებულს ღვინოს და არაყს ხმარობს, მას გონება დაუუძღურდება, ჯანი დაუსუსტდება, სიცოცხლე შეუმოკლდება, სახლობას სიღარიბეში შეიყვანს—სახლობაშივე ავადმყოფები არ გამოელევა; შეიღები უძღურები ებადება და ამისა გამო ჩამომავლობას ძალა აღარ ეძლევა და ხალხი იეღიტება უღროოდ.

მომეტებული სმა სასმელებისა, „ლოთობა“ მრავალ ქვეყნებშია გავრცელებული და მათ შორის ჩვენს საქართველოშიაც. ჩვენი გლეხი კაცის მოსავალში ერთი უმთავრესი აღავი უჭირავს ღვინის მოსავალს, ღვინო ზოგიერთა სოფლებში იმოდენი მოდის, რომ კიდევ ჰყიდიან. ღვინით ყოველივე ნაკლულეანებას შეივსებს ჩვენი ქართველი კაცი, რომ რიგიანად ხმარობდეს. მაგრამ ისე უზომოდ ხარჯავს, რომ



წლამდინ, ორმოც-სამოცი კოკაც რომ ჰქონდეს, არ გაახწევია  
ნებს. მაგალითებრ: გარდაცვალებაზედ, ქორწილში, წირვაში,  
ნათვლაში და სხვა სტუმრობაში დიდი ხარჯი იციან—უზო-  
მო ხარჯი; შეიძლება ერთ რომელიმე ამ სადილთაგანზედ  
დაიხარჯოს ათი კოკა და ბევრჯელ მეტიც; ბევრჯელ მიცვა-  
ლებულზე სადილი თითქმის ქორწილს დაეგვანება ხოლმე.  
ქორწილიც ჩვენში ურიგო და შეუსაბამო არის ხოლ-  
მე. ეს ბოლო მოუღებელი სმა არამც თუ ღუბაეს ხალხს,  
არამედ თვით ხალხიც ზნეობითად საბოლოოდ ფუჭდე-  
ბა. რათა? იმათა, რომ მიჩვეულნი ამ უზომო სმას  
აგინებენ ერთმანეთს, ლანძღავენ და, რასაკვირველია, შვი-  
ლებიც მათი, ხედვენ რა უფროსების ყოფა-ქცევას,—ილებენ  
მათგან ცუდს მაგალითსა. თუმცა დრო არის, ამას ბოლო  
მოეღოს და შეაგონოს ვისიც რიგია, მაგრამ სადაა?...

უზომოდ და უჯეროდ ღვინის და არყის მსმელებს ჩვენ  
ვეძახით „ლოთებს“. თვით პავლე მოციქული ამბობს ამათ-  
ზედ, რომ: „ლოთები“ ვერ დაიმკვიდრებენ სასუფეველსა  
ღვთისასაო; მეორე ადგილს ამბობს; „ნუ დაითრფით ღვინითა,  
რამეთუ სიბილწე არსო“ ლოთობა. მართლმადიდებელნი კრი-  
სტიანენო, ლოთობა სიბილწე და შესაზარი ავთიმყოფობა არის.  
აი რა ნაირია ლოთი კაცი: იგი მავნებელია არა მარტო თავისთა-  
ვისათვის და სახლობისათვის, არამედ საზოგადოებისათვისაც;  
როდესაც მომეტებულს ღვინოს-არაყს სვამს, მაშინ ღვინის  
ძალა აზღის მას თავში, აბრუებს, გონებას უხშობს და რაც  
მომეტებულს სვამს უფრო უგუნურდება, მისი თავი სიბნელით  
იმოსება. ისა ხდება უბოროტესი, ამიტომ სისხლი უღულს;  
დაბნელებული თვალები მისი ვერას ხედავენ—თუ ხედავს საგანს  
ისრე კი არა, როგორიც არის, სხვა ნაირად—ბნელად. მეგო-  
ბარი მტრად ეჩვენება; მტერი—მეგობრად, ცა ქვეყნად, ქვე-



ყანა ცად; მის თვალწინ ყველა ტრიალებს; ლაპარაკობს იმითა-  
თან, ვისთანაც შესაძლო არ არის ლაპარაკი,—რას და რო-  
გორ ლაპარაკობს? ცდილობს ყველას ერთ ანოს; საიდუმლო  
გამოააშკარაოს; მას ყველაფერი უკუღმა ესმის და შფოთზე  
და ჩხუბზე იწევს; ხალხში, ურცხვად იქცევა და ამით ამცი-  
რებს თავისს სახელს, თავისს კაცობას, იმ სახელს, რომელიც  
ღმერთს მისთვის მიუნიჭებია; იბნელებს იმ სულს, რომელიც  
ღმერთს მისთვის შთაუბერია მისდა სასიკეთოდ; ყველას ლან-  
ძღავს, ტანისამოსს იფუჭებს, სახლში არავისი რიდი და შიში  
არა აქვს: არც ღეთისა, არც ხალხისა; უშვერის სიტყვით იხ-  
სენიებს შეილებს, ცოლსა, ყვირის, ამტვრევს რაც მოხვდება,  
როგორც გაბრაზებული მხეცი! შეუსაბამო სიტყვებს ისერის—  
ისეთ სიტყვებსა, რომ ფხიზელს აზრშიაც არ მოუვა, ლოთს  
კაცს ქვეყანაზედ არავისი არ ეყურება, არც მამისა, არც ცო-  
ლისა, არც შვილებისა. ლოთი კაცი მხეცზედ უარესია იმი-  
ტომ, რომ მხეცი მაშინ არის მოსარიდალი, როცა შიან, კა-  
ცი-კი—როცა მთვრალია; ეშმაკსაც კი ღეთისა ეშინიან,  
მთვრალს კაცს კი არა.

რადგანაც ვიცით და ვხედავთ მრავალ მაგალითებსა, რომ  
არა თუ მარტო ჩვენში, არამედ სხვაგანაც ამ ნაირათ მომე-  
ტებული სმა სასიყვარულისა მანებელია, დამლუპველია აქ ჩვე-  
ნის ცხოვრებისა და წამწყმედელია სულისაც—იმ მომავალ  
ცხოვრებაში, სადაც ანგარიშის მოთხოვნის დროს მივცემთ  
პასუხს ამ ცულ საქციელისთვისაც,—მაშ, ძმანო ქრისტიანო,  
შევიკაოთ თავი იქამდინ, რომ მომეტებულმა სმამ არ დაგვძლი-  
ოს, ვერიდოთ და ისრე უცქიროთ „ლოთობას“, როგორც  
ერთს უუბოროტესს საქციელსა. **აშინ.**

2-ს მარტს, 1886 წ.

## ს ი ტ ვ ე ა \*),

თქმული ახლად მოწვეულ ქართველ ჯარის კაცთაღმი, ფიცის მიღების შემდეგ 21 ოქტომბერს 1889 წელს, ქალაქს გორში.

### ახალგაზრდა ჯარისკაცნო!

აი ეს მესამე წელიწადია, რაც საქართველოში შემოდებული იქმნა მათი იმპერატორებითი უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორის ალექსანდრე მესამეს ბრძანებით საერთო ჯარის მოკრეფა გვარ-ტომობისა და ხარისხ-წოდების გაურჩევლად. მაშასადამე, თქვენც, ძმანო ქართველნო, ღღეს კენჭის შეხვედრით მოვალენი გახდით იმსახუროთ სამხედრო სამსახურში, რომელიც გაგრძელდება არა უმეტეს სამის წლისა.

ღღეღგან თქვენ უნდა გახსოვდეთ და მარად თვალწინ წარმოდგენილი გქონდეთ ის აზრი, რომ მსახურებთ სამხედრო სამსახურში დასაცველად სარწმუნოებისა, მეფისა და სამშობლოსი; ნურავინ თქვენგანი ნუ იფიქრებს, რომ მოვალე არ იყოს ესენი აღასრულოს, სინიღისი და პატიოსნება და მასთან ზნეობრივი ვალიც გვეუბნება, რომ ყოველმა კაცმა თავისი თავი თვით უნდა დაიცვას მტრისაგან, აღასრულოს ის, რაიც მას უეჭველად მოეთხოვება.

ღღეღგან უნდა შეისწავლოთ ის წესები და კანონები, რაიცა საჭიროა სამხედრო სამსახურისათვის; უნდა ჰქმნათ ყოველივე ის, რასაც თქვენი უფროსები და მთავრობა გიბრძანებთ. უწინარეს ყოვლისა გახსოვდეთ ღმერთი, იმედი და სისოება მასზედ გქონდეთ დამყარებული; თუ რომ ღმერთი გებ-

---

\*) ეს სიტყვა დაბეჭდილია „მწიგნოსის“ 22-ს ნომერში, 30 ნოემბერს 1890 წელს.



სომეხობათ, იგიც თქვენ არ დაგივიწყებთ, განანათლებს თქვენს გონებას, მაშინ აღვიღათ შეიგნებთ სამხედრო სამსახურს.— ყოველივე საქმე ლოცვით უნდა იწყოთ და ლოცვითვე დაამთავროთ; ვალდებულნი ხართ შეიყვაროთ მთავრობა, თქვენი უფროსები, მაგრამ იმასაც ნუ დაივიწყებთ, რომ თქვენი ამხანაგებიც და ყოველი მახლობელიც არა ნაკლებ უნდა გიყვარდეთ, აი ამიტომაც ზრძანებს მაცხოვარი ჩვენი უფალი იესო ქრისტე: შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისიო; ერთი ერთმანეთს უნდა ემსახუროთ და შემწეობა გაუწიოთ. ის დიდათ სცოდავს, რომელსაც ყოველსავე საქმეში თავისი ამხანაგი, თავისი მახლობელი სძულს, რომელიც ცილსა სწამებს, ან სტუქსავს იმას; ყველა ამას განშორებული უნდა იყვნეთ. თუ რომ ძმურათ იცხოვრებთ, ღმერთიც შეგიყვარებთ და მოგცემთ იმ ძალას, რომ სამსახური მეფისა აღვიღათ შესრულოთ. გახსოვდეთ ის, რომ მეფის სამსახური—ღვთის სამსახურია, მაშასადამე აღარც ხშირად უნდა იგონებდეთ მშობელთა, ან ცოლ-შვილს. თავიდგან უნდა აიცილოთ ყოველივე მანვე აზრები. ღმერთთან მიეედრებელი უნდა იყოთ იმისა, რომ განგამტკიცოთ მეფისა და მამულის სამსახურში. რაც უკეთესათ გეყვარებათ სამსახური, მით უფრო ჩქარა გაივლის დრო სამსახურისა, ისე გაივლის რომ ვერც კი შენიშნავთ. გახსოვდეთ, რომ მეცადინე კაცისთვის ყოველივე საადვილოა, ზარმაცისთვის-კი სამძიმო და მოსაწყენი.

გარდა იმისა, რომ მოვალენი გახდით სამხედრო სამსახური შესრულოთ, წესისა და სჯულისამებრ ფიციც მიიღეთ წინაშე ღვთისა და აღთქმა დასდეთ, რომ მხნედ, მამაცად და ერთგულად იქნებით სამსახურის დროს; რომ უკანასკნელის სისხლის წვეთამდე სიცოცხლეს არ დაზოგავთ სარწმუნოებისა, მეფისა და მამულისათვის. ამიტომაც შიშს და განსაცდელს არ უნდა მოერიდნეთ; ყოველივე უნდა



იტვირთოთ, თუ მშვიდობიანობისა და თუ ომიანობის დროს, და მაშინაც კი, როდესაც მოსისხლე მტერი თავს დაგესხმით, არ უნდა შეშინდეთ და ისრე უნდა მოიქცეთ, როგორც თქვენი მეუფროსეები გიბრძანებენ.

სიმაართლე, კეთილგონიერება და სინიდისიცი ითხოვს, რომ თავი თვისი შესწიროთ სამშობლოს, საქიროა მოემზადოთ სამხედრო სამსახურისათვის, დასაცველად სარწმუნოებისა, მეფისა და მამულისა. მოვიგონოთ ჩვენი წინანდელის ქართველის ერის ვაჟეაყობა, მამა-პაპათა შეუპოვარი თავგანწირვა, სახელისათვის ამაყი თრთოლვა და მამულის მტერთან სასტიკი ბრძოლა; მოვიგონოთ ის, რომ იმათ ცალ ხელში ეპყრათ ჯვარი, მეორეში კი მახვილი და ამ სახით იცაედნენ თავის სარწმუნოებას და მამულსა. ყოველ ამას გვიმტკიცებენ მრავალი მაგალითები ძველის დროისა, რომელნიც მოხსენებულ არიან ისტორიაში. თუმცა ქართველები მცირედნი იყვნენ, თუმცა ხშირად ერთზედ ასი მტერი მიდიოდა, მაინც არ შედრკებოდა ხოლმე მათი გამბედავი გული, მაინც არ შიშობდა და ძალითა ქრისტეს ჯვრისათა სძლევდნენ მტერთა. იმედი და სასოება ღმერთზედ არა ჰქონდათ დაკარგული, თითქმის ოთხკუთხივ მტერი გარს ეხვია მუდამ საქართველოს; თითოეული მტერთაგანი სცდილობდა ხელთ-ეგდო ეს ღვთისა და ბუნებისაგან დაჯილდოებული, ეს უხვი, მდიდარი, ყოვლისფრით შემკული, პატარა საქართველო. მრავალჯერ მოაოხრა, მიწასთან გაასწორა მტერმა ქართველთა ერი, წაბილწა წმინდა ადგილები; მაგრამ ერთი მუქა ქართველთა ერი არ ჰკარგავდა იმედს და სასოებას მერმისისადმი, მაინცა და მაინც სიკვდილამდე იბრძოდა თავისის საყვარელის სამშობლოს დასაცველათ.

ხშირათ ჩვენთა წინაპართა შორის იბადებოდნენ ესრეთი ხელმწიფეები, ისრეთი გულ-შემატკივარნი, ერთგულნი და თავდადებულნი, ჰკუა-გონებით სავსე-ქართველნი, რომელნიც

მზათ იყვნენ სისხლი დაედღართ, შეეკლათ თავი მტრისათვის, თუ რომ ამით სჯულსა და სამშობლო ქვეყანას ეშველებოდა რამე. დაუნტკიცეთ, თქვენც, ძმებო, ჩვენს მამას, ხელმწიფეს, რომ თქვენს ძარღვებშიც მოძრაობს მამაცური სისხლი თქვენის მამა-პაპების.

თქვენც, ძმებო, ახალგაზრდა ქართველნო ჯარის-კაცნო! უნდა მიბაძოთ ვაჟკაცურს გამბედაობას, თქვენის მამა-პაპებისას გიმეორებთ კიდევ, ვალდებულნი ხართ: ბეჯითად შეისწავლოთ წესები და კანონები აწინდელის სამხედრო სამსახურისა, შეასრულოთ უფროსების ბძანება და მტიცეთ იყვეთ სამსახურს დროს. მარად ღმერთი გახსოვდეთ და იგი გაგამხნევებთ, მოგცემთ შემწეობას და ძალას მეფისა და მამულის სამსახურში. ყოველი თქვენგანი, რომელიც არ აღასრულებს ბრძანებას უფროსებისას, ვინც უღალატებს და გულგრილათ მოექცევა კანონებს, რომელთა აღსრულებაში მოყვანა თქვენზედაა დამოკიდებული, ეხლანდელი დროის კანონით მძიმედ დაისჯება და ზოგნიც ამის გამო სიკვდილს მიეცემიან; ის პირნი კი, რომელნიც იმსახურებენ სინიდისიერად და პატიოსნურად, მორჩილებასა და ერთგულებაში გაატარებენ სამსახურსა, დაჯილდოებულ იქმნებიან ხელმწიფის წყალობით. ისკი, ვინც სარწმუნოებისა, მეფისა და მამულისთვის მტერს თავს შეაკლავს, მათთვის დაპლდვის სისხლს, მომავალ საუკუნო ცხოვრებაში მიიღებს მოწამებრივს გვირგვინს.

მაშ უფალი ღმერთი, რომელიც გაგამხნევებთ სამსახურის დროს, იყოს შემწე, მხსნელი და მფარველი თქვენი ყოველთვის, ყოველგან და ყოველს დროს აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.





### სიტუაბა,

სოფლის ხადისთაეის დეკანოზის გიორგი კარიჭაშვილის კარდაცვა-  
ლებაზედ თქმული.

„და დღეგრძელ იყო ქვეყანასა ზედა“

(შეხუთე მცნება).

ჩვენს წუთისოფელში ძალიან იშვიათია, რომ კაცი დიდ-  
ხანს სიცოცხლობდეს, მაგრამ საჭიროა კია. საჭირო და ძვირფა-  
სია იმიტომ, რომ ამით გვეძლევა დრო მომეტებულად ვიზრუ-  
ნოთ მომავალის ჩვენის ცხოვრებისათვის. დიახ პატიოსანი და  
ძვირფასია კაცისათვის დიდი ხნის სიცოცხლე იმიტომ კი არა,  
რომ მომეტებული წლები განატაროს, არამედ იმიტომ, რომ  
მან კეთილი საქმე და სასარგებლო ღვაწლი რამე დასტოვოს  
აქ, ამ ქვეყანაზედ. პატიოსანი და ძვირფასია დიდ ხანს სი-  
ცოცხლე, იმის შესაყაად, როგორც სცხოვრობდა ეს განსვენ-  
ებული, ნეტარ ხსენებული პატიოსანი დეკანოზი გიორგი.

ცოტა არ იცოცხლა დეკ. გიორგიმ, თითქმის სამოცდა  
ათ წელს მიაღწია; ამოდენა ხნის სიცოცხლე ამ ჩვენ დროს,  
როდესაც მრავალი სხვა და სხვა მოთხოვნილება, საჭიროება,  
უბედურება და მწუხარება გვაწევს თავს, ადვილი არ არის.  
რომ ამათ გაუძლოს კაცმა, ამისთვის დიდი ვაჟკაცობა, გო-  
ნიერება და გამჭირიანობაა საჭირო. დეკანოზმა გიორგიმ იც-  
ხოვრა ამ ქვეყნად მარტო იმიტომ კი არა, რომ მომეტებულად  
ემრომა თავისს მახლობელთათვის, შვილებისა და კეთილის  
მყოფელთათვის მოეპოვებინა რამე,—არამედ იმიტომაც, რომ  
უკეთესად მომზადებულიყო იგი მომავალის ცხოვრებისათვის.



შრომა გასწია მან განსაკუთრებით როგორც კეთილმა მწყემსმა და მოძღვარმა თავის საჟწყსოისამან—ყოველთვის იყო მხნე და ფხიზელი; იყო უწყინარი, უშფოთველი, ტკბილი, მშვიდი, კაცთ-მოყვარე და სტუმართ-მოყვარე; არ ზოგავდა თავისს საცხოვრებელს არავისთვის; სახლობის საქმეც კარგათ მოაწყო: შვილები კარგათ დაზარდა, ვაეებს მისცა კარგი გზა და დღესაც იზრდებიან წარჩინებულ ადგილებში\*); ყველაფერი საქმე მის კარგათ და კეთილად ჰქონდა მოწყობილი. მისთვის ეხლაც კი იყო საჭირო, რომ მომეტებულ ხანს ეცოცხლა ამ ქვეყანად,—ან რათ არ ისურვებდა სიცოცხლეს, როდესაც განსვენებულს ყოველივე სახსარი ცხოვრებისა პატიოსნად შეძენილი ჰქონდა. დიახ პატიოსანმა დეკანოზმა გიორგიმ თავისს შრომით, განწმედილის სამსახურით მოიპოვა ყველაფერი: სიმდიდრეცა და განსხვავების ნიშნებიც, უმაღლესს სამღვდელო ხარისხამდისაც მიაღწია\*\*).

ყოვლად პატიოსანო მსმენელნო! სჩანს უნდა ვიწუხოთ და არ შეიძლება არ შევიბრალოთ დეკანოზი გიორგი იმის გამო, რომ მან კიდევ არ იცოცხლა. დიახ, ეხლა იყო მისთვის სიცოცხლე საჭირო, რომ იგი შრომის და მონაღაწის შემდეგ დამტკბარიყო თავისს შვილების ცქერით. მაგრამ ღვთის განგებას ეს არ უნდოდა და ამიტომაც მოგვტაცა იგი.

რათ უნდა ესწუხდეთ და გვებრალებოდეს დეკანოზი გიორგი?—ამიტომ რომ ეგ იყო კეთილი კაცი და მისთვის საჭირო იყო სიცოცხლე, რომ უფრო მეტი კეთილი ნაყოფი გამოეღო. ამიტომაც სწუხან ნათესაეები, ნაცნობნიცა და უცნობნიც მისის გარდაცვალების გამო.

\*) უფროსი ვაჟი სწავლობს ჰარიის უნივერსიტეტში.

\*\*\*) დეკანოზობა მიიღო.



ყოვლად პატიოსანო მამო დეკანოზო გიორგის როგორც სჩანს შენ ყოფილხარ კეთილი კაცი, არ დაგიზოგავს შენის მრევლისათვის ის, რაც შენგნით მოითხოვებოდა. როგორც ამოხედა, შენ ყოფილხარ ჭირში განმამხნევებელი, ლხინში მომლხენი; თუ რა რიგათ ჰყვარებიხარ შენს მრევლს—ეს ცხადად დაგიმტკიცა და გიმტკიცებს კიდევ— როდესაც ეს მრევლი, დიდი და პატარა, ქალი თუ კაცი, მოგეგება გორის სადგურზედ და იქიდან მოგასვენა იმ წმიდა ტაძარში, სადაც შენ შესწირავდი ხოლმე უსისხლო მსხვერპლსა წინაშე ღვთისა შენის მრევლისათვის, სადაც ვედრებოდი დღეგრძელობას და კეთილდღეობას ამ ქვეყნად ცოცხალთათვის—და მკვდართათვის საუკუნო განსვენებას. ვინც კი გიცნობდა ახლო, თუ შორიდგან, ყველანი გულმტკივნეულნი არიან; სჩანს ყველას კეთილი მსურვებია შენთვის. როგორც აქ არ ზოგადი ვედრებას კაცთათვის, —მოამედენი ვართ იქაც, იმ მომავალს ცხოვრებაშიც, როდესაც მისცემ უფალს ანგარიშს შენს მრევლზედ, ილოცავ მისთვის წინაშე ღვთისა, რომ ის არ წარწყმდეს, არამედ ჰქონდეს სამკვიდრებელი მართალთა თანა.

ჩვენც, მსმენელნი ქრისტიანნი, მივსცეთ უკანასკნელი ამბოარი ჩვენს ძმას და მამას, დეკანოზს გიორგის, შევევედროთ ყოვლად შემძლებელს ღმერთსა, რათა მან მგლოვარეთა და მწუხარეთა მისცეს მოთმინება და მას, დეკანოზს გიორგის, განუსვენოს იქ, სადაც ყოველნი წმიდანი განისვენებენ. ამინ.

21 იანვარი  
ს. ხიდისთავი.

